სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 3 ივლისი 2006 №150 (2772) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟინი ჭეშმარიტი ვარსკვლავის: ვარ კვლავ ის!



ZOZ

ნუ დაინანებთ ეპითეტებს, ზიდანი ამას იმსახურებს

თამაში ორი გარდერობით





პარეირამ ვერ გაამართლა, პარეირას არ გაუმართლეს



ასეთი ტყუპისცალები ცალობით არიან

რონალდ დე ბური არველაძეების და თბილისის სტუმარია

36 წლის რონალდ დე ბური თბილისშია. 1995 წელს ჩემპიონთა ლიგის მომგები, „ბარსელონაში“ ესპანეთის ჩემპიონი, ჰოლანდიის მრავალგზის ჩემპიონი შემტევი ნახევარმცველი, ვინც ახლა სხვა ასაკოვან, სახელგანთქმულ ფეხბურთელებთან ერთად ყატარში აგორებს ბურთს.

დე ბური „სარბიელთან“ ინტერვიუში საუბრობს მარკო ვან ბასტენზე, ლუის ვან გაალზე, საკუთარ თავზე და... ქართველების მენტალიტეტზეც.

დე ბური თბილისში მისი საუკეთესო მეგობრის, შოთა არველაძის სტუმარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ლაბაძის უიმბლ-დონე: რაფაელ ნადალი

თიხნარის მეფე რაფაელ ნადალი „როლან გაროსის“ იქით მეოთხე წრეს არც ერთ სლემტურნირში არ გასცილებია და ჩვენი დიდი სურვილია, ესპანელმა ჯადობიჭმა მისთვის ამ უსიამო ტრადიციას ვერც წლევანდელ უიმბლდონობაზე მოუღოს ბოლო. მიზეზი მარტივია: მეოთხე წრეში ნადალი ირაკლი ლაბაძეს ხვდება, ვისაც, როგორც ჩანს, გააახსენდა, რომ 1998-წლის იუნიორთა ტურნირის ფინალში თვით როჯერ ფედერერს უწევდა მეტოქეობას და ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, მეორე სუნთქვა გაეხსნა.

საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებულ სამ მეტოქეს, ავსტრიელ ალექსანდერ პეიას და არგენტინელ გასტონ გაუდიოს ლაბაძემ ამერიკელი მარდი ფიშიც მიაყოლა, სერბ დუშან ვემიჩთან ერთად წყვილთა შორისაც ორი წრე გაიარა და დღეს საღამოს კი, უიმბლდონის პირველ კორტზე, სულ სხვა დონის მატჩია, რომლის სასწორზეც მეოთხედფინალის საგზური დევს — რაფაელ ნადალი VS ირაკლი ლაბაძე

რეალი კალდერონს რჩება

გუშინ მადრიდის „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა და გვიანობამდეც გაგრძელდა. წინასწარი, ოფიციალურად დაუდასტურებელი მონაცემებით, ხუთი კანდიდატიდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო 55 წლის ადვოკატმა რამონ კალდერონმა, რომელიც 2002 წლიდანაა „რეალის“ საპრეზიდენტო საბჭოში და ხმოსნებს მილანელი კაკასა და ჩელსელი არიენ რობენის ყიდვას დაპირდა.



ბოდიში, დედიკოს ბიჭებო

თქვენი ცოლი იტალიელს ეთამაშებაა?





იტალია — გერმანიის ნახევარფინალური მატჩი წესით, მიმდინარე მუნდიალის ერთ-ერთ მთავარ სანახაობად უნდა იქცეს და, ცხადია, მის გარშემო უკვე დიდი აურზაურია ატეხილი. პირველ რიგში ყველას 1 მარტს გამართული ამხანაგური შეხვედრა ახსენდება, რომელშიც „სკუადრა აძურამ" „ნაციონალმანშაფტი" 4:1 გაანადგურა. ეს ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მარცხი იყო გერმანული ფეხბურთის ისტორიაში. მართალია, ამხანაგურ თამაშში, მაგრამ მაინც, ამ მატჩს პრესამ „ფლორენციული ფიასკო" უწოდა და ბევრმა, იურგენ კლინსმანის დაუყოვნებლივ გადადგომა მოითხოვა.

„რა თქმა უნდა, ისევ ოთხ გოლს ვერ გავიტანთ. ეს გერმანია უკვე სხვა გუნდია და დიდი ენთუზიაზმით თამაშობს, თანაც საკუთარ კედლებში. იურგენ კლინსმანი კარგი მწვრთნელია და მშვენიერი ნაკრები დააყენა. ერთი სიტყვით, რთული მატჩი გველის, მაგრამ გერმანიასაც გაუჭირდება" — აღნიშნა იტალიელთა მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

„MAMMA MIA, ეს კოშმარი იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე 99 დღე რჩება და ჩვენი ნაკრები საშინლად თამაშობს. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. თუ ასე გავაგრძელებთ, მუნდიალზე გაგვანადგურებენ" — ეწერა იტალიასთან წაგების მერე გერმანულ „ბილდში".

მატჩამდე ვითარება უფრო დაძაბა ასევე ცნობილმა გერმანულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა „შპიგელმა", რომელმაც იტალიელ კაცებს ბრიოლინით გაჟღენთილები, უწესოდ მოთამაშენი, სიმულანტები და დედიკოს ბიჭები უწოდა. ცხადია, ამას გამოხმაურება მოჰყვა და „შპიგელმა" მოგვიანებით ოფიციალურად მოიბოდიშა, მაგრამ „სკუადრა აძურას" რამდენიმე წევრი ამან არ დააკმაყოფილა და მათ მწვავე კომენტარები გააკეთეს.

„ალბათ, ამ გაზეთის გამომცემელს ცოლი იტალიელთან ღალატობს და იგი ამის გამო ჩვენზე განაწყენებულია" — თქვა „სკუადრა აძურას" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ, რომელიც უკრაინასთან მერვედფინალური შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

იტალიელთა მცველი ალესანდრო ნესტა: „ჩვენი სამზარეულო და მოდა მთელ მსოფლიოში განთქმულია. გერმანელები გვაკრიტიკებენ და თან სურთ, ჩვენ გვგავდნენ. ამას შური ჰქვია".

ისტორია კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტს გვახსენებს. კერძოდ, 1982 წლის მუნდიალის ფინალს, რომელშიც იტალიამ გერმანიას 3:1 მოუგო და მას მერე აპენინელები მსოფლიოს ჩემპიონები არ გამხდარან. გერმანია ბოლოს ნომერ პირველი 1990 წელს გახდა, როდესაც მუნდიალი იტალიაში ჩატარდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გერმანიას იტალიისთვის არასოდეს მოუგია. მიუხედავად ამისა, „ნაციონალმანშაფტის" ერთ-ერთ მწვრთნელს, ოლივერ ბირჰოფს მიაჩნია, რომ მარჩელო ლიპის შეგირდები მინდორზე შეშინებულნი გავლენ.

ოლივერ ბირჰოფი: „არ აქვს მნიშვნელობა, როგორ და რა ანგარიშით, მთავარია, მოვიგოთ და საბოლოოდ თასი ჩვენთან დარჩეს. ფანებმა და კრიტიკოსებმა დაინახეს, რომ კარგად თამაში შეგვიძლია და ჩემპიონობის რეალური შანსი გვაქვს. იტალია ძალიან ძლიერი მეტოქეა, მაგრამ გერმანიის რიდი ეჭნება. რაც შეეხება „სკუადრა აძურასთან" 1:4 წაგებულ ამხანაგურ მატჩს, ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს. თანაც, შესაძლოა, ამ მარცხმა ჩვენ საბრძოლოდ განგვაწყოს".

აღსანიშნავია, რომ კლინსმანსაც და ბირჰოფსაც სათამაშო კარიერისას იტალიაში არაერთი წელი გაუტარებიათ. პირველი „ინტერში" იყო, ხოლო მეორე „უდინეზესა" და „მილანში". ასე რომ, ისინი იტალიურ ფეხბურთს კარგად იცნობენ და შეეცდებიან, ეს გამოიყენონ.

„რა თქმა უნდა, კარგია, რომ მე და იურგენს იტალიურ ფეხბურთთან ახლო შეხება გვქონდა. ეს ნამდვილად გამოგვადგება. „სკუადრა აძურა" თითქოს ჩუმად მიიწევს წინ, მაგრამ ერთ-ერთი ფავორიტია. აპენინელებს ტაქტიკურად უაღრესად ძლიერი და შეკრული ნაკრები ჰყავთ. ასე რომ, წინ რთული მატჩია, მაგრამ მზად ვართ" — თქვა ბირჰოფმა.

გერმანიაში ახლანდელ გუნდს უკვე ადარებენ 1954, 1974 და 1990 წლების ნაკრებებს, რომლებმაც მუნდიალები ტრიუმფით დაასრულეს, თუმცა ბირჰოფი ყველას მოუწოდებს, არ აჩქარდნენ.

„თუ მუნდიალს მოვიგებთ, ლეგენდარულ ნაკრებებს მერე შევედაროთ. ამ გუნდმა უკვე დიდ წარმატებას მიაღწია. ჩვენ ახალგაზრდა მოთამაშეებით დაკომპლექტებულნი ვართ და ბევრისთვის ეს პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. თანაც ისინი უფრო უკეთ და უკეთ თამაშობენ. განწყობა საბრძოლოა. არგენტინასთან მატჩის მერე კლინსმანმა ფეხბურთელებს უთხრა, რომ მათ ფანტასტიკურ შედეგს მიაღწიეს, მაგრამ ორი მაღალი კლასის ნაკრები ჯერ კიდევ დასამარცხებელი ჰყავთ" — დასძინა ბირჰოფმა.

2006 წლის 1 მარტი. იტალია — გერმანია 4:1

გიორგი ძაძაგაძე



პაველ პარდო

რიკარდო ოსორიო

მექსიკის ნაკრები შტუტგარტის მაისურაში

„შტუტგარტი“ მექსიკელებს „დაერია“. გერმანულმა კლუბმა მექსიკის ნაკრების ორი ფეხბურთელი იყიდა — პაველ პარდო და რიკარდო ოსორიო. 29 წლის ნახევარმცველმა პარდომ, რომელიც „ამერიკაში“ თამაშობდა, ბუნდესლიგურ გუნდთან სამწლიანი კონტრაქი გააფორმა, ხოლო მცველი ოსორიო („კრუს ასულიდან“) ოთხი წლით დაბინავდა „შტუტგარტში“.

გერმანული მედიის ცნობით, ნახევარმცველის ტრანსფერი მილიონი ევრო დაჯდა, ხოლო მცველი უფრო ძვირი — 3 მილიონ 500 ათასი.

პარდოს ნაკრებში 129-ჯერ უთამაშია, ოსორიოს კი — 43-ჯერ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ორივე ძირითად შემადგენლობაში იყო და მექსიკა მერვედფინალში არგენტინასთან დამარცხდა.

„შტუტგარტი“ გასულ სეზონში მეცხრე ადგილზე გავიდა და შეტევის გასაძლიერებლად ფორვარდი სჭირდება, რადგან დანიელ ლუბოიამ წასვლა გადაწყვიტა. შტუტგარტელებმა უკვე იყიდეს შვედი ნახევარმცველი ალექსანდრ ფარნერუდი „სტრასბურიდან“ და ბრაზილიელი ანტონიო და სილვა „მაინციდან“.

ლადო ხომერიკი

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ღაი-ღაის აბონენტთათვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოინერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში
სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან შეხვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთამაშება ჯეოსელის

FIFA WORLD CUP
GERMANY
2006

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

მეოთხედფინალი

ინგლისი 0:0(პენ.1:3) პორტუგალია

№59, 1 ივლისი, 19.00, გელზენკირხენი, „აუფ შალკე", 52 000 მაყურებელი

პენალტები: 0:1 სიმაო, 0:1 ლამპარდი (მეკარე), 0:1 უგო ვიანა (ძელი), 1:1 ჰარგრივსი, 1:1 პეტიტი (ააცილა), 1:1 ჯერარდი (მეკარე), 1:2 პოშტიგა, 1:2 კარაგერი (მეკარე), 1:3 რონალდუ



შეცვლა: ბექემი – 19. ლენონი (52), ჰაულეტა – 11. სიმაო (63), ჯ. ჯოული – 21. ჯრაჩი (65), ტიაგუ – 10. უგო ვიანა (74), ფიგუ – 23. ჰოშტიგა (86), ლენონი – 15. ჯარაგერი (119)

გაფრთხილება: ტერი (30), პეტიტი (44), ჰარგრივსი (107), ჯარვალიუ (111)

გაძევება: რუნი (62)

მსაჯები: ჰორაციო ელიზონდო; დარიო გარსია, როდოლფო ოტერო (არგენტინა)

21	**ჯარიმა**	10
6	**კუთხური**	4
9	**ჯარისკენ დარტყმა**	20
4	**ჯარში დარტყმა**	9
0	**თამაშგარე**	3
43	**ბურთის ფლობა პროცენტულად**	57

AFP გეტი ზუნკირხენდან

პენალტი ბედისგან: ისევ პენალტები

AFP გეტი ზუნკირხენდან

ეს თამაში ხომ ნანახი გვაქვს, თან ბევრჯერ. კი, ბატონო, სხვა იყო დრო და ადგილი, მონაწილეებიც იქნებ სხვები იყვნენ, ზოგიც იგივენი, მაგრამ ეს თამაში იყო, ზუსტად ასეთი და ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო. და ერთია ამ ერთში ჩატეული ბევრი თამაშის ბოლო — ფავორიტებში თვითდასახელებულ ინგლისს მუდამ სადღაც შუა ზღვაში ეძირება გემი. ინგლისურ ფლოტში ყოველთვის მოიძებნებიან თავზეხელაღებული მეზღვაურები და ზარბაზნებიც დიდრონი უდგათ გემბანზე, მაგრამ სულ ასე იძირებიან და თან მიაქვთ ღდესღაც ზღვათა და კონტინენტთა დამპყრობი ქვეყნის იმედი. მერვედფინალი, მეოთხედფინალი... ამის იქით კი აღარ შეიძლება, თუ აღარ შეუძლიათ... 1966 წლის შემდეგ კი ძალიან დიდი დრო გავიდა. კარგი იყო, მაგრამ... რამდენი ჩაიძირა მას შემდეგ?

პენალტები! ოხ, ეს გაუტანელი პენალტები!!! უკვე ათობით მოგროვდებიან ამ სასიკვდილო დარტყმის ვერგამტანები, მერე სულ დარჩეული ჯეელები! არ შეუძლიათ პენალტის დარტყმა და ურტყი, თუ გინდა!

ბევრნი ვეტყვით, არ გინდათ პენალტები და ნუ მიიყვანთ საქმეს მანდამდეო. აი, ჭეშმარიტება. ინგლისის ქომაგები კიდევ შავგვრემანი მსაჯულის წითელ ხელის ბოლოს გაგვახსენებენ — არ იმსახურებდა რუნი გაგდებასო, ყვითელს კი და წითელს არაო... რუნი უფრო ჯიგრიან თანაგუნდელებს და ამათ პასებს იმსახურებდა. სისხლი უდუღდა ბიჭს და აკი გააწითლეს კიდეც. ინგლისის თავკაცობიდან კარგა ხნის გათავისუფლებულ სვენ გორან ერიკსონი ახლა იტყვის — ნუ შერისხავთო, ფანტასტიკური მოთამაშეაო, ინგლისური ფეხბურთის ოქროს ბიჭიაო და მისთანები. შვედს ყოველთვის ეხერხებოდა კარგი ინგლისურით ლაპარაკი. რაღაც ხომ უნდა შეგეძლოს, 5 წლის განმავლობაში არაფრის ან თითქმის არაფრის კეთებაში (ამ შემთხვევაში ერთი და იგივეა) 25 მილიონს რომ იღებ. ერჩივნა, ერთიორი ხეირიანი თავდამსხმელი ამოერჩია პრემიერლიგაში. ვინც მოედანზე გამოუშვა, ვერავისზე იტყვი, ცუდიაო, კრაუჩზეც კი, ამსიგრძე ფეხებით მარტო რომ დარბოდა პორტუგალიელთა კოხტად დალაგებულ მწკრივში და ხანდახან ბურთის დამორჩილებასაც ახერხებდა, მაგრამ გამოსაყვანიც რომ აღარავინ შერჩა? კრაუჩი და კიდევ ლენონი, რომელიც ამ ჩემპიონატზე, მგონი, ერთადერთი ინგლისელია, ზედიზედ ორი მეტოქის მოტყუება რომ შეძლო. ჰო, კიდევ კარაგერს აღირსა თამაში. ალბათ, შემთხვევით მოჰკრა თვალი სათადარიგოთა სკამზე მოღუშულს და, ისე გამოვიდა, უკვე აცილებული პენალტის დასარტყმელად შეუშვა მოედანზე.

ისევ პენალტები... ინგლისმა ექვსიდან ხუთჯერ წააგო პენალტების სერია. წარსულის ქექვა არცაა საჭირო, ბოლოს ეს 2 წლის წინ „მოახერხა" და მაშინც სკოლარის პორტუგალიასთან. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ინგლისელებს ჯერ აუღო მეკარე რიკარდომ, მერე კი თავადაც გაუტანა. დაცინვასავით იყო. და ახლაც სამი აუღო, ლამპარდს, ჯერარდს, კარაგერს... ყოჩაღ და მოუღალავ ჰარგრივზსაც გამოუცნო, მაგრამ ეს კი ველარ აიღო. რა, სამი ცოტაა? ერთ სერიაში ამდენი არავის აუღია, ორი ბევრჯერ და ბევრს, მაგრამ სამი რეკორდია.

სვენმა ინგლისელები თამაშამდე პენალტების დარტყმაში ავარჯიშა, მოგებული კი დარჩა სკოლარის გუნდი, რომელსაც დეკუ აკლდა და თუნდ მოხუცი ლუიშიც არ ჰყოლოდა და ზედაც პირტიტველა კრიშტიანუც, ალბათ, პოშტიგა-მიგელ-ტიაგუთიც გაივლიდა ამ ეტაპს. აი, სად არის სკოლარის თავი დამარხული, დაცვით თუ შეტევით, ავი თუ კარგი თამაშით, წითლებით, ყვითლებით, პენალტებით თუ მათ გარეშე მისი გუნდები იგებენ და წინ მიიწევენ. მსოფლიოს ჩემპიონატებზე სკოლარის გუნდებს, ჯერ ბრაზილიას, ახლა კი პორტუგალიას, სულ 12 თამაშია, არ წაუგიათ და ახლა ეს პატარა გაქანების დიდი საფეხბურთო ქვეყანა ნახევარფინალშია, პირველად 1966 (ისევ ეს 1966) წლის შემდეგ, სადაც ფრანგებს შეხვდება. საინტერესო იქნებოდა პორტუგალია — ბრაზილიის ხილვა, მაგრამ სკოლარიმ მოიგო, მისმა ყოფილმა გუნდმა კი — ვერა.

... ინგლისელებმა სვენი რომ გაუშვეს, სკოლარის დაურეკეს, წამო ჩვენსაო. არ წავიდა. იქნებ იმიტომაც, რომ ინგლისელებს პენალტების დარტყმას ვერ ასწავლიდა?

ბექემს კი უთქვამს, ნაკრებში კი ვრჩები, მაგრამ კაპიტნად კი არა, რიგით ჯარისკაცადო. საინტერესოა, მოედანზე რომ ყოფილიყო, ის მაინც თუ გაიტანდა პენალტს?

ირაკლი ფირაზვილი

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მეოთხედფინალი

ბრაზილია 0:1 საფრანგეთი

№60. 1 ივლისი. 23.00. ფრანკფურტი. „ვოლდბადიონი". 48 000 მაყურებელი

0:1 ანრი (57)

შეცვლა: ჟუნინიო – 7. ადრიანო (63), ჯაფუ – 13. სისინიო (76), რიბერი – 9. გოვუ (77), ჯაჯა – 23. რობინიო (79), მალუდა – 11. ვიტორდი (81), ანრი – 14. საა (86)

გაფრთხილება: ჯაფუ (25), ჟუანი (45), რონალდო (45), სანიოლი (74), ლუსიო (75), საა (87), ტურამი (88)

მსაჯები: ლუის მედინა ჯანტალეხო; ვიქტორიანო გირალდეს ჯარასუო, პედრო მედინა ერნანდესი (ესპანეთი)

22	ჯარიმა	17
5	კუთხური	7
7	ჯარისკენ დარტყმა	9
1	ჯარში დარტყმა	5
2	თამაშგარე	5
55	ბურთის ფლობა პროცენტულად	45

AFP ფრანკფურტიდან

დარჩენილ შეხვედრებში რა მოხდება, კაცმა არ იცის, მაგრამ ზოგადად მსოფლიოს ჩემპიონატს ერთი, ათწლეულობით ნაცადი წესი აქვს — ყოველთვის თუ არა, ძალიან ხშირად შორს მიდის ის, ვინც უშუალოდ ტურნირის განმავლობაში, მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს. ამას საფრანგეთის ნაკრებზე მოგახსენებთ და აქვე შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ამასვე იმედოვნებდა ბრაზილიელთა მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირაც. ხშირად იმეორებდა სეუ პარეირა, მთავარი გერმანიის სტადიონებზე ნაჩვენები პროგრესი იქნებაო...

საბოლოოდ, საფრანგეთის ნაკრებმა ბრაზილიისას მოუგო, თან ისე, რომ კითხვის ნიშნისთვის ადგილი არ დაუტოვებია და ახლა მსოფლიოს თასი მორიგ მფლობელს ელის. ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი ადრეც ყოფილა პლანეტის საფეხბურთო მწვერვალზე, ერთ მათგანს, პორტუგალიას კი ოთხეულში მხოლოდ 1966 წელს უთამაშია. ასე რომ,

დიდი ფეხბურთი დიდი ზიდანით

AFP ფრანკფურტიდან

მოტივაცია, იცოცხლეთ, დიდი ექნებათ. თუმცა ჩვენ სამფეროვანთა ფერადოვან მეოთხედფინალურ ტრიუმფს დავუბრუნდეთ. ისინი, ვინც „ევროსპორტს" უყურებს და კვირას საფრანგეთ — ბრაზილიის დაწყების წინ ამ არხზე გადართეს, აუცილებლად მიაქცევდნენ ყურადღებას ექსპერტად მიწვეულ „არსენალის" მწვრთნელ არსენ ვენგერის ნათქვამს, ვინაიდან ბრაზილიის ნაკრების მოთამაშეთაგან გოლის გატანა ბევრს შეუძლია, ფრანგებისთვის მნიშვნელოვანი დაცვის სწორად ორგანიზება და შეტევის დროს მარტივ სიტუაციებში ბურთის არდაკარგვა იქნება, დანარჩენს კი ზინედინ ზიდანის და ტიერი ანრის დონის ფეხბურთელები თვითონ გააკეთებენო. როგორც გამოჩნდა, სამფეროვანთა ბანაკშიც დაახლოებით ასე უფიქრიათ, იმ განსხვავებით, რომ დაცვის სწორად ორგანიზება მათ დაცვაში ჩაჯდომად არ წარმოიდგინეს, ბურთის კონტროლი და გაფრთხილება კი, იცოცხლეთ, ისეთი ხარისხით შემოგვთავაზეს. ერთი სიტყვით, ის, რაც მეოთხედფინალში 1998 წლის ჩემპიონებმა აჩვენეს, დიდი ფეხბურთი იყო, რასაც საოცარი მასშტაბისა და სიკაშკაშის ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი უძღვებოდა.

საინტერესოა, რომ მეტოქეებისთვის ერთმანეთის განლაგება და ტაქტიკა თამაშის წინა დღეებშივე ცნობილი იყო. კარლოს ალბერტო პარეირა ის კაცია, ვინც თავის შემადგენლობას არასდროს მალავს და არც რაიმონ დომენეკს მიუმართავს ცბიერების ძველმოდური ხერხისთვის, პრესკონფერენციაზევე განაცხადა, რაც ესპანეთთან ნახეთ, ბრაზილიასთანაც ის იქნებაო. ახლა, მოდი, ნუ შევუდგებით იმის ანალიზს, რატომ გამოვიდა სამფეროვანთა ჩანაფიქრი და რატომ გაუჭირდათ პენტაკამპეონებს. კაფუ დაბერდა და სისინიო უნდა ყოფილიყო? ჟუნინიო პერნამბუკანოს იმთავითვე ძირითადში უნდა ეთამაშა? რონალდინიო ფინტის გარდა ყველა სხვა დავალებისგან უნდა გაეთავისუფლებინათ? ეს ის საკითხებია, რომელთა გასაანალიზებლად ახლა უკვე საკმარისი დრო გამოჩნდა და ამ შეკითხვებს ბრაზილიის ნაკრების მომავალი მწვრთნელი თავის პასუხებს გასცემს, ფრანგთა თავკაცს კი ამიერიდან, ოთხშაბათს პორტუგალიასთან დაპირისპირებაზე აქვს საფიქრალი.

„ეს ის შემთხვევაა, როდესაც საკუთარ განცდას სიტყვებით ვერ გადმოსცემ — თქვა მატჩის შემდეგ დომენეკმა — მე ფეხბურთელებთან ერთად ყოველი ბურთისთვის ვიბრძოდი, ყოველ მაღალ ჩაწოდებაზე ვხტებოდი, ყოველ დარტყმას თავად ვასრულებდი და ქანცი გამძვრა. ეს წამი უნდა შევინახო, ასეთი განცდის მოგვრა მხოლოდ ფეხბურთს შეუძლია. რაც შეეხება პორტუგალიის ნაკრებს, მასთან თამაში ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ამ დღეს უკვე სიამოვნებით ველი. დიდებული დღეები დგას".

ზინედინ ზიდანი: „ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. რომ მოგვეგო, დიდებული ფეხბურთი უნდა გვეთამაშა და ასეც მოვიქეცით, ხოლო დაცვაში ყველანი ერთმანეთს ვეხმარებოდით. ახლა ფინალში გასვლასაც შევეცდებით, რადგან ჩემპიონატის აქ დასრულება არ გვინდა".

პატრიკ ვიეირა: „ჩვენთვის ნათელი იყო, რა უნდა გაგვეკეთებინა, რათა ნახევარფინალში გავსულიყავით და მთელმა 90-მა წუთმა დაამტკიცა, რომ გამარჯვება დავიმსახურეთ".

ტიერი ანრი: „ადრე ვამბობდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე საოცნებოდ არ ვიყავით ჩამოსულები, მაგრამ დღეს ერთი ოცნება მართლა ახდა. 2002 წლის წარუმატებლობის შემდეგ გვინდა, ყველას ვაჩვენოთ, რომ ხელწამოსაკრავი არ ვართ. ვფიქრობ, ეს უკვე ვაჩვენეთ, მაგრამ ჯერ არ დაგვიმთავრებია".

კარლოს ალბერტო პარეირა: „ჩვენ სულელური შეცდომების გამო დავისაჯეთ. ასე ადრე გავარდნისთვის მზად არ ვიყავით, ზიდანი და ანრი კი მეტად სახიფათონი იყვნენ".

დაბოლოს, პრესის მცირე მიმოხილვა.

„ჯალათმა ზიდანმა ბრაზილია მეორედ აატირა" — წერს ბრაზილიური ინტერნეტ საიტი **uol.com. br**

გაზეთი „ლანსი": „ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატს სევდიანად გამოემშვიდობა".

„ფოლია": „მსოფლიოს ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე ისევ ზიდანი გადაგვეღობა"

„ო გლობო": „გუშინ ზიდანს ზიდანური დღე ჰქონდა. შემოქმედებითი ფეხბურთის ერთ-ერთმა უკანასკნელმა და ამოუცნობმა მოჰიკანმა ბრაზილია დაამარცხა".

პელე, გერმანული **ZDF**-ისთვის მიცემული ინტერვიუდან: „ბრაზილიამ კარგად დაიწყო, მაგრამ უპირატესობა თითებს შორის გაუსხლტა. საბოლოოდ კი ყველაფერი ზინედინ ზიდანის ჯადომ გადაწყვიტა."

პაპუნა კედია

ბომბარდირები

მიროსლავ კლოზე (გერმანია)	5
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
ტიერი ანრი (საფრანგეთი)	3

გიო ახვლედიანის
სვეტეული

ტელეს შეეძლო, ეთქვა: აი, ხალხო, ნამდვილი ბრაზილია!

ბაქოში იქაური კაი მაგარი ნამდვილი ბაქოელები რომ შევლენ რესტორანში, ოფიციანტსა ჰკითხავენ:

— თევზი გაქვს?

თუ უპასუხებენ, ხოო, შემოუსხდებიან სუფრას.

„თევზს“ ბაქოში ერთადერთ თევზს უწოდებენ — კასპიურ ზუთხს.

სხვა თევზებს ეგებ თავიანთი სახელები ჰქვიათ. ოღონდაც თევზად არავინ მოიხსენიებს. ნამდვილ თევზად, ანუ თევზთა მეუფედ, ზუთხია. კარგი ტიტულია: იმას გეძახიან, რაც ხარ.

ჰოდა, ზინედინ ზიდანიც ეგრეა.

რაღა ის და რაღა კასპიური ზუთხი, თევზების ხელმწიფე.

ასე გამოდის: ფეხბურთელი ამ ჩემპიონატზე ზიზუა, ისევე, როგორც თევზი ბაქოში ზუთხია.

ბრაზილიური პოეზიიდან, რომელიც, სიმართლე რომ ითქვას, ბოლოს 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იქნა შემჩნეული, ზიდანმა და მისმა ამხანაგებმა არაფერი დატოვეს. საერთოდ წაუშალეს, კარგი სტრიქონებიც კი.

სამწუხარო ის არის, რომ გუშინ დილითვე, სახლს გამოცილებული არც ვიყავი, რომ ერთმა წესიერმა კაცმა გულწრფელად მითხრა, ეჰო, ნახე, როგორ დაითხოვეს ბრაზილიაო. ეტყობა, ეგრე გადაწყვიტეს, რო გეყოფათო.

საქართველო ტრაგიკული ქვეყანაა, ამ მსოფლიო თასის გარეშეც ის მოგონილი სამყაროებით ცხოვრობს.

ერთ-ერთი ასეთი მოგონილი სამყაროა ფეხბურთი, ისეთი, როგორიც მსოფლიოში არ არსებობს და არსებობს ქართულ წარმოსახვაში. ეს წარმოსახვის ფეხბურთი პატიოსანიცაა და უპატიოსნოც. ოღონდ, ორივე შემთხვევაში მოგონილია და ნამდვილ ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს. მასში მთავარია შემდეგი რამეები: წინასწარ შემუშავებული მითები თამაშის შესახებ (მაგალითად: „მილანი“ გოლს არ უშვებს, თუ გაუშვა, უბრძანეს და იმიტომ, ანდა, ბრაზილია მხოლოდ ბრძანებით აგებს). ვინ არის დამნაშავე? (აქაური მაყურებლისთვის თავდამსხმელის კარგი თამაში არაფერია, მთავარია მცველის შეცდომა). და ზღაპრები, რომელთა ჩამოთვლაც ახლა შორს წაგვიყვანდა. თუმცა ეს ზღაპრები განწყობას ქმნიან და თამაშის ყურება სულაც არ არის საჭირო.

ზღაპართა შორის ერთ-ერთი ისაა, რომ საფრანგეთი სულაც არ არის საფრანგეთი. იმიტომ, რომ იქ ადრე თამაშობდნენ ზიდანი, ჯორკაეფი, ბოგოსიანი, ტურამი, ახლა თამაშობენ მალუდა, მაკელელე, მუსლიმი რიბერი, სენეგალელი ვიეირა და ა.შ. და ეს ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საფრანგეთია, სამარცხვინოა. ეს ერთხელ თქვა ფრანგების ნაციონალური ფრონტის ლიდერმა ლეპენმა და თითქმის მთელი საქართველო იმეორებს. ზიდანს, რახან დიდი ფეხბურთელია, ალჟირელობა ცოტათი ეპატიება. პლატინისაც ეპატიება იტალიელობა, ვილიამ გალასს კი არ ეპატიება.

ყველა თამაშის წინ დადგებიან კაპიტნები და ლოცვასავით კითხულობენ ანტირასისტულ განცხადებას.

საერთოდ კიდევ, ბრაზილიაში შავი მონები ჩაჰყავდათ აფრიკიდან პორტუგალიელებს. ბრაზილიელ აფროებსა და ფრანგ აფროებს შორის განსხვავება ისაა, რომ ბრაზილიაში უფრო ადრე ჩაჰყავდათ და მონებად ჰყავდათ, საფრანგეთში კი ყოფილი კოლონიების შვილები თავისით ჩამოდიოდნენ უკეთესი ცხოვრების საძიებლად. ბრაზილიაში ზანგებს თავიდან საერთოდ არ იღებდნენ კლუბებში (რა გაეხარდებოდა ზოგიერთ თეთრი ფეხბურთის ტრფიალს?!). პირველი კლუბი, ვინც აფროებს კარი გაუღო „ბანგუ“ იყო — მერე იშვა ლეონიდასი, პირველი შავი საოცრება, ფეხშიშველა თამაშით რომ გადარია მსოფლიო.

მგონი, სისულელეს ვამბობ. რაღაცის დამტკიცებას ვცდილობ. დღევანდელ მსოფლიოში ნაკრძალები არ არსებობს, ნაკრძალები სამარცხვინოა. ერთ კაცს უნდოდა ისინი და თავის ბუნკერშივე ჩაიხრჩო.

საფრანგეთმა კიდევ, მგონი საერთოდაც გადაარჩინა ეს მსოფლიო ჩემპიონატი, იმიტომ, რომ ამ ხარისხის ფეხბურთი ისე გაილია 60 თამაში, გერმნაიაში არავის უჩვენებია.

დომენეკი სულელია!

აი, რა გვესმოდა გასული კვირების მანძილზე.

ახლა დაჭკვიანებულა.

რიბერი რა ჩემი ფეხების ფეხბურთელია...

ახლა თავისი ფეხებით სულ თავგზა აუბნია ბრაზილიელებს.

ანრი ქეთინოა და გადამწყვეტ თამაშებში ვერ თამაშობს.

ხო, საწყალი ანრი.

საბრალო ტელე სანტანა აღარ არის ცოცხალი. ძველი ფეხბურთის გემო ბრაზილიაში იმან იცოდა. ის იყო, ვინც იყო.

პარეირა ძალიან ძველმოდურია: ორი ძველი გარდერობით წინა ხაზზე; რონალდინიოთი, რომელიც კარში მხოლოდ ჯარიმებს ურტყამს და აცილებს, რობერტო კარლოსით, რომელისაც ყველამ ყველაფერი იცის და წლებია ეს ფეხბურთელი მოულოდნელს ვერაფერს შემოგთავაზებს; კაკათი, რომელიც ფრანგებმა გააქრეს, კაფუთი, რომელიც სამგზის ფინალისტია და წლიდან წლამდე თავისი ჯანის ხარჯზე ხლაფორთობს. იქ იყვნენ კარგი ბიჭებიც, საუცხოო ფეხბურთელებიც, ოღონდ, ფრანგებმა იმდენად თანამედროვე თამაში აჩვენეს, რომ ბრაზილიისგან აღარაფერი დარჩა.

ამიტომ, რასაც ჩვენში ამბობდნენ, მართალი არ იყო:

ბრაზილია ნახევარი ძალით თამაშობს.

ბრაზილიას რამდენსაც გაუტან, ერთით მეტს გაგიტანს (ეს ტელე სანტანას სიტყვებია და პარეირას და სკოლარის გუნდებთან კავშირი არ აქვს — ტელეს ჰქონდა ამის თქმის უფლება: ტელე იყო ბრაზილიური ფეხბურთი და კიდევ ჟოაო სალდინია). ბრაზილია ცეკვავს (შაბათ საღამოს ერთი ბებერი ჯადოქარი ცეკვავდა) და ყველაზე კარგი იქნება, ფინალში თავის თავს შეხვდეს.

სამწუხაროდ, წლევანდელი ბრაზილია ამას არ იმსახურებდა და მას თავის ქვეყანაში სასტიკად აკრიტიკებდნენ (თუმცა, იქაური გაზეთები თბილისში იგვიანებს).

გულსატკენი ის კი არ არის, რომ რომელიმე გუნდს ქომაგობ. უნდა უქომაგო, მაშ, რა. გულსატკენი ის არის, რომ მისი ქომაგობისას რეალობას კარგავ და ისეთ რამეებს იგონებ, რაც ბუნებაში არ არსებობს. ფანები საღად ქომაგობდნენ თბილისში, გამოჩენილი ადამიანები კი რაღაცეებს ყვებოდნენ, სამბას შესახებ ასე გამოსდიოდათ: ფეხბურთი ის არის, რასაც ბრაზილია თამაშობს, დანარჩენები სულელები არიანო.

კასპიური ზუთხის ამბავს აწვებოდნენ, ოღონდ არასწორად.

საფრანგეთი რა იყო შაბათ საღამოს?

არ იყო უმაღლესი პილოტაჟის ფეხბურთი?

თუმცა არის კიდევ ერთი დიადი კაცი, ლუიშ ფელიპე სკოლარი, ფელიპაო.

დიდი ფილის, მიკ ჯაგერის, მარადიული ისტორიის და სხვა ასეთი კროუჩობების შესახებ, ხვალ.

მანამდე კი:

— თევზი გაქ?

— კი.

ზიზუ.

ტელეს შეეძლო ეთქვა: აი, ხალხო, ნამდვილი ბრაზილია.



ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ



მალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანიო, უთქვამს ვაჟას. ვაჟა ის არის, შოთას (რუსთაველის) პონტში რომ გადის.

ეს ისე, ხუმრობით, სერიოზულად კი დამტკიცდა, რომ განა გერმანიაზე ერთი გიანით მეტია. მართალია, ამას მათემატიკური ანალიზი დასჭირდა, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, თქვენ კარგად იყავით და თქვენი გულისთვის მათემატიკას კი არა, წიგნის კითხვასაც კი შევეჭიდებით. ეხლავე აგიხსნით, რა პონტიცაა:

იმისათვის, რომ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ამბავში და გაგებაში ყველაფერი ერთხელ და საბოლოოდ გაგვერკვია, გერმანია აღვნიშნეთ უცნობით — ასამოა. განა კი ნაცნობით — ასამოა გიანი. მიღებული ორი სიდიდის ერთმანეთთან შედარებამ მოგვცა, რომ განა გერმანიაზე გიანით მეტია — ვინც ვერ გაიგო, იმის მათემატიკის მასწავლებელს გაუმარჯოს დაწყებით კლასებში!

მერე: რაზომ ნას ბოჰატომი ნე პოდოვატიო იყვირეს უკრაინელებმა და მართლაც დიდი შიში დათესეს... საქართველოში. იმ დღეს ჩვენში ძნელად თუ ნახავდით ჟურნალისტს, სიტყვა იტალია თამამად რომ წარმოეთქვა, მაგრამ საქმე რა არის იცით? უკრაინის რომ შეგეშინდეს, უნდა იცოდე, რას ნიშნავს ეგ „რაზომ ნას ბოჰატო“, იტალიელმა ფეხბურთელებმა კიდევ არ იცოდნენ და ერთადერთი, რითაც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორზე შთაბეჭდილება შეიქმნეს, ფეხბურთი იყო...

ისე, ღირსი არ ვარ, ეხლა ვინმე რომ მომიბრუნდეს და წადი, შე ქართველოო მითხრას?! უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალშია, მე კი თბილისში ტელევიზორში ვუყურებ, როგორ უნდა ვსვა პივა — იხ. ლუდი სულხან საბას ლექსიკონში — და კიდევ იმათზე ვლაპარაკობ. ვაი ჩემს პატრონს. ესე თუ გაგრძელდა, შეიძლება იქამდეც კი გავთავხედდე, რომ ბრაზილიაზე ვთქვა წააგოო.

ჰო, მგონი, უკვე ნახევარფინალებია, არა? ვინ ვის ხვდება? პორტუგალია ვიღაცას და გერმანია ვიღაცას, ხომ? ესე იგი, ვიღაცა და ვიღაცა ერთ მხარეს რომ გადავიტანოთ, ნული იქნება და პორტუგალია გერმანიის დაეჯახება, არა? თუ, ვაი ჩემს მათემატიკის მასწავლებელსაც?

ისე, ნახეთ, იმ დღეს პორტუგალიამ ინგლისს როგორ მოუგო? ის ტიროდა... აი, ის ბიჭი... აი, თმებს რომ ივარცხნის ხოლმე... გამახსენდა, ვიქტორი! და მისი ცოლი ვიქტორიაც ატირდა ტრიბუნაზე.

„ვიქტორი და ვიქტორია“... ეჰ, ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქვეყნად, ეგეთი რაღაც ვიღაცას, მგონი, უკვე დაწერილი აქვს.

პაპუნა კედია

მოწოდებით ჩვენ ერთი ბანდა ვართ!

ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ („ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ)



ᲛᲣᲨᲢᲘ-ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲔᲑᲐ

ᲤᲘᲤᲐᲡ პრეზიდენტი ზეპ ბლატერი არგენტინა-გერმანიის მატჩის შემდეგ მომხდარი ჩხუბის გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას ითხოვს. მასპინძლებმა პენალტებში მოიგეს, მერე კი ფეხბურთელებმა ერთურთისკენ გაიწიეს და ძიძგილაობა დაიწყეს.

„გაოგნებული ვარ — განაცხადა პრეზიდენტმა — ჩვენი სადისციპლინო კომიტეტი ამ ამბავს გამოიკვლევს. პროვოკატორები უნდა გამოვავლინოთ. ის, რაც მოხდა, სულაც არ იყო საჭირო. ფეხბურთი 120 წუთი გაგრძელდა და დრამატული გამოდგა. პენალტების დროს ვიღაცა წააგებს და ვიღაცა მოიგებს. მე კი ვამბობ, რომ მოგებაც უნდა ისწავლო და წაგებაც!“

ფიფას პრესმდივანმა მარკუს სიგლერმა დაადასტურა, რომ მსაჯმა ლუბოშ მიხელმა მატჩის შემდეგ წითელი ბარათი აჩვენა არგენტინელთა სათადარიგო ლეანდრო კუფრეს, ვინაც გერმანელ პერ მერტესაკერს უმიზეზოდ ხელი ჰკრა.

„კუფრეს ნამოქმედარის გამოძიება ცალკე მიმდინარეობს, რაკი მან არასათამაშო დროს მიიღო წითელი ბარათი — თქვა სიგლერმა — სადისციპლინო კომიტეტი ვიდეოზე გაარჩევს ამ ამბავს“.

გერმანიის ნაკრების მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა განაცხადა: „დავინახე, რომ კუფრემ მერტესაკერი წააქცია და ფეხბურთელების გაშველება ვცადე. სულაც არ მიფიქრია, ვითარების გამწვავება. გერმანელმა ქომაგებმა დაამტკიცეს, რომ მეგობრულები არიან. ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბიც სამაგალითოდ უნდა მოიქცნენ“.

სატელევიზიო გამეორებისას გამოჩნდა — როგორ ხტება გაბრიელ ჰაინცე და ოლივე ბირჰოფისკენ დასარტყმელად იწევს, მაგრამ ჰაერში იჭერენ.

„რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ოლივერ ბირჰოფი გამშვალებული იყო, თუმც ამას მაინც სჭირდება გამოძიება“ — აღნიშნა სიგლერმა, ხოლო ტორსტენ ფრინგსმა თქვა: „მათ ხელი გვკრეს. უსამართლოდ მოიქცნენ, რადგან ხელმოცარულები არიან“.

ვეძებთ მარადონას

დიეგოს არგენტინა გადაუკეტეს



მაშ ასე, არგენტინა გერმანიიდან უგუნებოდ და უმწვრთნელოდ დაუბრუნდა სამშობლოს — ხოსე პეკერმანმა მუნდიალის მასპინძლებთან პენალტებით დამარცხების შემდეგ თანამდებობა დატოვა. დღეს უკვე ყველა ამბობს, რომ „ალბისელესტეს" ანუ არგენტინელთა ეროვნულ გუნდს მართალია ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, მაგრამ აკლდა მთავარი-ვინმე ჯადოქარი, თუმცა... არა, ჯადოქარი იქ იყო, გერმანიაში, ოღონდ ტრიბუნაზე იჯდა.

და ისევ არ ვამბობთ მართალს — დიეგო მარადონა არგენტინისა და გერმანიის ნაკრებთა შეხვედრის დროს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" არ იჯდა. მიზეზი: დიდ კაცს ორგანიზატორებმა „ოლიმპიაშტადიონის" ვიპ-ლოჟაში ოთხი ბილეთი მისცეს, მეხუთეზე კი უარი უთხრეს. საქმე ის გახლავთ, რომ დიეგო გერმანიის სტადიონზე თავისი ამალით დადიოდა, ორგანიზატორებმა კი უთხრეს, რომ მისი ამალის ერთი წევრი წინა შეხვედრების დროს მეტად აგრესიულად იქცეოდა და მას სარბიელზე აღარ შეუშვებენ. მარადონამ „იმ მეხუთეს" სოლიდარობა გამოუცხადა.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ ხალხს, ვინც ტრიბუნაზე კი არა, ნახევარფინალში მოსახვედრად იბრძოდა. და ლიონელ მესი? — იკითხავს არგენტინელთა ის ქომაგი, რომელიც ამტკიცებს, რომ მესი „ახალი მარადონაა". ლიონელი მესი, არა? ეს 19 წლის ჭაბუკი სათადარიგოთა სკამზე იჯდა — პეკერმანს გერმანიასთან შეხვედრაში არ სჭირდებოდა.

„მოედანს რაღაც აკლდა და ეს რაღაც, მესი იყო. რა სამწუხაროა, რომ მესის მომავალ გამოჩენამდე ოთხი წელიწადი უნდა ვიცადოთ" — დაწერა არგენტინულმა გაზეთმა „კლარინმა".

მიმომხილველები ყურადღებას ამახვილებენ ხავიერ საციოლას არყოფნაზეც და ამბობენ, რომ მის მაგივრად მოთამაშე კარლოს ტევესი მისებრ სახიფათო და სასარგებლო არ იყო. მერედა, ხუან რომან რიკელმეს გაყვანამ ხომ საერთოდ მოკლა არგენტინელთა თამაში.

და მაინც, ბევრისთვის ფაქტი ფაქტად რჩება — მსოფლიოს ჩემპიონობიდან 20 წლის თავზე ორგზის ტრიუმფატორთა ქვეყანა ისევ დიეგო მარადონას შემცვლელს ეძებს და კვლავ ვერ უპოვნია.

გახსოვთ არიელ ორტეგა? პირველი „ახალი მარადონა" სწორედ ის იყო, მაგრამ 1998 წლის მუნდიალის მეოთხედფინალში, მარსელში, ის მოედნიდან გააძევეს და მაშინ ცხადი შეიქნა, რომ მას და მარადონას საერთო, დიდი-დიდი არგენტინული ტემპერამენტი ჰქონდათ, ნიჭი კი ვაგლახ...

კიდევ, სხვათა შორის, იყო ასეთი — ლეო როდრიგესი, რომელიც 1991 და 1993 წლებში „კოპა ამერიკას" ჩემპიონი გახდა, მაგრამ, მერე, 1994-ში თვით მარადონა დაბრუნდა, დიდებულადაც, მაგრამ ეფედრინის სკანდალშიც გაეხვა.

„ჩემგან მარადონას შეცვლას ითხოვდნენ და ეს ცხოვრებას სასტიკად მირთულებდა" — იგონებს როდრიგესი. უფრო ბოლო პერიოდის მარადონები, პაბლო აიმარი და ზემოხსენებული რიკელმე არიან, სულ ბოლოს კი დალესანდროსგან ითხოვდნენ დიეგოობას, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. ვაგხალ, დიეგოობას ნიჭი უნდა, რომელიც „დიადის" ტოლი არც კარლოს ტევესს აქვს და ისევ მესიზე იმედად უნდა ვიყოთ.

პაპუნა კედია

პესოტო ხედავს, ესმის და გრძნობს

ტურინის „იუვენტუსის" მენეჯერი ჯანლუკა პესოტო გონზე მოვიდა. მოგეხსენებათ, 35 წლის მცველმა, რომელმაც კარიერა ამ ზაფხულს დაასრულა, ოფიციალური ვერსიით თავის მოკვლა სცადა და კვლავ საავადმყოფოშია. თუმცა ექიმები ახლა უფრო იმედიანად არიან. როგორც იცით, მენეჯერი კლუბის სათავო ოფისის სახურავიდან გადახტა და ორ მანქანას დაეცა.

„პესოტომ თვალები გაახილა, ხალხს ცნობს და ესმის, რასაც ეუბნებიან. ეს ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა და იმედია, იგი ბოლომდე გამოვა მდგომარეობიდან, მაგრამ ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია" — თქვა პესოტოს ექიმმა პიერ პაოლო დონადიომ.

„სკუადრა აძურას" ფეხბურთელები ყველანაირად ცდილობენ პესოტოს, რომელსაც იტალიის მაისურა 22-ჯერ მოურგია, გვერდზე დაუდგნენ. როგორც იცით, ალესანდრო დელ პიერო და ჯანლუკა ძამბროტა ცოტა ხნით სამშობლოშიც დაბრუნდნენ მის მოსანახულებლად. მერვედფინალში უკრაინასთან გამარჯვება კი პესოტოს მიუძღვნეს.

კოკი კანდელაკი

ხუთშაბათი ორშაბათია

სერია B-მ შეკრება გაიარა

„იუვენტუსისთვის", „მილანისთვის", „ლაციოსა" და „ფიორენტინასთვის" დღეს ახალი სეზონი იწყება — რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" დანიშნულ სასამართლო გარჩევას ვგულისხმობთ, რომელშიც ამ ოთხი გუნდის გარდა ფეხბურთში მოღვაწე 26 ოფიციალური პირიც გადის ეჭვმიტანილის სტატუსით. მოგეხსენებათ, პროცესი გასულ ხუთშაბათს უნდა დაწყებულიყო და ფორმალურად დაიწყო კიდეც, მაგრამ სერია **B**-ს რამდენიმე კლუბის თხოვნით ჩეზარე რუპერტომ მათ მოსამზადებლად რამდენიმე დღე მისცა. გავიმეორებთ რაც ბევრჯერ თქმულა: თუ ბრალს დაუდგენენ, ზემოხსენებულ გუნდები მომდევნო სეზონში შეიძლება ქვედა ლიგაში აღმოჩნდნენ.

„თუ გარიგებებში მონაწილეობა დამტკიცდება, მასში „იუვენტუსის" მთელი საზოგადოების დადანაშაულება მაინც არ იქნება სწორი. ცალკეული პირები შესაძლოა მართლაც ერეოდნენ მაქინაციებში, მაგრამ დანარჩენ იუვენტუსელებს სასიკვდილო ცოდვა ნამდვილად არ ჩაუდენიათ" — თქვა „ბებერი ქალბატონის" პრეზიდენტის თანამდებობაზე ორი დღის წინ დანიშნულმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ, თუმცა დასძინა, რომ კლუბი სასამართლოს ნებისმიერ ვერდიქტს მიიღებს, სერია **B**-ში გაგდების ჩათვლით.

„იუვეს" ვექილი ჩეზარე ძაკონე: „მოჯის სისტემა „იუვენტუსის" სისტემას ნამდვილად არ ნიშნავს" — ამ სიტყვებით ტურინული კლუბი თავის ყოფილ გენერალურ დირექტორს ემიჯნება, თუმცა თავად მოჯი აცხადებს, რომ მისი ყოველი ნაბიჯი „იუვენტუსში" ყველასთვის ცნობილი იყო.

სასამართლო ვერდიქტს, სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს გამოიტანს.

პაპუნა კედია

ლუჩანო მოჯი

ფრანგულმა პსჟ-მ და „სენტ ეტიენმა" ფეხბურთელები გაცვალეს. პარიზელებმა დავიდ ჰელებუიკი წაიყვანეს, სანაცვლოდ კი კრისტოფ ლანდრინი დათმეს. 29 წლის ლანდრინმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „სენტ ეტიენთან", ხოლო ჰელებუიკის კონტრაქტის ვადა უცნობია. შეგახსენებთ, რომ ლანდრინამდე „მწვანეებმა" „ბოკა ხუნიორსის" ფორვარდი დანიელ ბილოში შეიძინეს.

შვეიცარიულმა „თუნმა" გერმანული „ზიგენიდან" ჩეხი მცველი ლუკაშ დოშეკი გადაიბირა. პრაღის „სლავიას" ყოფილმა ფეხბურთელმა ახალ გუნდთან ორწლიან გარიგებას მოაწერა ხელი.

ბერძნულმა „პანათანაიკოსმა" არგენტინული „რასინგიდან" ნახევარმცველი სებასტიან რომეროო შეიძინა. ბერძნებმა მილიონ 500 ათასი დოლარი გადაიხადეს, 28 წლის რომერომ კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თქვა: „ეს უნიკალური შანსია ევროპაში თავის გამოჩენისა და უნდა გამოვიყენო".

ინგლისური „ვულვერჰემპტონის" მწვრთნელი გლენ ჰოდლი პოსტიდან წავიდა. ჰოდლი, ვინც მსოფლიოს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებს თავკაცობდა, „ვულვზში" 2004-ში მივიდა იმ პირობით, რომ გუნდი პრემიერლიგაში გადაეყვანა. ეს არ გამოუვიდა და ამიტომაც გადადგა.

პორტუგალიურმა „სპორტინგმა" დაადასტურა, რომ „კრუზეიროდან" ნახევარმცველი მოიზესი გადაიბირა. 26 წლის ფეხბურთელმა ლისაბონურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის „სპარტაკის" მაისურით მითამაშია და საკმაო გამოცდილება მაქვს. ახლა კი „სპორტინგს" უნდა დავეხმარო" — განაცხადა მოიზესმა.

ინგლისური „უიგანის" მწვრთნელ პოლ ჯუელს კონტრაქტი ხუთი წლით გაუხანგრძლივეს. კლუბის პატრონი დეივ ველანი კმაყოფილია ჯუელის მუშაობით და ამიტომ დატოვა. მთავარ მწვრთნელს კვლავ დაეხმარება თანაშემწე კრის ჰატჩინგსი, რომელიც ასევე 2011-მდე დარჩება „უიგანში".

ფრანგულმა „სოშომ" იერუსალიმის „ბეითარიდან" ჟერომ ლეროი წაიყვანა, რომელიც, თავის დროზე, „მარსელსა" და პსჟ-ში თამაშობდა. ლეროი ისრაელში გასულ იანვარში წავიდა, მაგრამ მოსწყინდა და საფრანგეთში დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად „ოსერს", „მარსელის" ყოფილი თავკაცი ალენ პერენი თავკაცობს.

ობიექტი

გაოცებული გაბერილთა



AFP

AFP



AFP

რატომ, ლმერთო?



AFP



AFP

AFP



AFP

AFP ბორბენდი

სარბიელი ჯეკპოტ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		4 ივლისი						
23:00	414	გერმანია-იტალია	2.35	2.90	3.10	1.29	1.33	1.49
		5 ივლისი						
23:00	415	საფრანგეთი-პორტუგალია	2.15	2.80	3.65	1.21	1.35	1.58
		რუსეთი						
		6 ივლისი						
16:00	840	ცსკა-ტორპედო	1.30	4.50	9.30	1.00	1.14	3.03
16:00	841	ენერგია-კრილია	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
16:00	842	ლოკომოტივი-სატურნი	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
16:00	843	ნალჩიკი-როსტოვი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50
16:00	844	ზენიტი-დინამო	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
		7 ივლისი						
16:00	845	სპარტაკი-ამკარი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
16:00	846	რუბინი-ტომსკი	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		3 ივლისი						
21:00	455	სტარტი-ტრომსიო	2.00	3.30	3.45	1.24	1.26	1.68
		შვედეთი. სუპერეტა						
		3 ივლისი						
21:00	477	იონკოპინგი-ლიუნგსკილე	2.35	3.20	2.55	1.35	1.22	1.41

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	478	ლანდსკრონა-ატვიდაბერგი	1.60	3.70	4.50	1.11	1.18	2.03
21:00	479	ქვიდინგი-ნორჩიოპინგი	4.20	3.50	1.65	1.90	1.18	1.12
		ჩოგბურთი.ქალები						
		უიმბლდონი						
		3 ივლისი						
16:30	817	კ კლიისტერსი-რადვანსკა			1.05			6.00
16:30	818	ვაიდისოვა-ნ ლი			1.30			2.90
15:00	819	სუგიამა-ბრემონდი			1.30			3.00
16:00	820	ენინი-ხანტუჩოვა			1.04			6.50
15:00	821	დემენტიევა-პერი			1.25			3.30
18:00	822	მორესმო-ივანოვიჩი			1.20			3.90
16:30	823	მისკინა-იანკოვიჩი			1.40			2.50
15:00	824	შარაპოვა-პენეტა			1.04			7.00
		ჩოგბურთი.კაცები						
		უიმბლდონი						
		3 ივლისი						
19:00	791	ფედერერი-ბერდიხი			1.03			6.00
15:00	792	მირნი-ბიორკმანი			1.80			1.80
15:00	793	შტეპანეკი-ვერდასკო			1.60			2.00
17:30	813	ანჩიჩი-ჯოკოვიჩი			1.35			2.90
16:00	814	ხიუიტი-დ ფერერი			1.15			4.50
17:00	815	ე მიურეი-ბაგდატისი			1.40			2.40
17:00	816	ტურსუნოვი-ი ნიემინენი			1.45			2.40

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10414	გერმანია-იტალია	2.70	1.90	3.40	1.11	1.50	1.21
10415	საფრანგეთი-პორტუგალია	2.45	1.90	3.90	1.07	1.50	1.27

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11414	გერმანია-იტალია	3.50	10.00	20.00	4.50	4.40	5.30	20.00	10.00	4.20
11415	საფრანგეთი-პორტუგალია	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	4.80

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანბრად	II-ში
15414	გერმანია-იტალია	3.00	2.80	2.00
15415	საფრანგეთი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16414	გერმანია-იტალია	1.55	2.10
16415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.50	2.30

გოლი:ყველი-10ში კენტი-2. (0:0 ითვლება ყველად)

17414	გერმანია-იტალია	1.85	1.95
17415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12414	გერმანია-იტალია	1.50	2.40
12415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.50	2.40

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13414	გერმანია-იტალია	1.75	1.80
13415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.75	1.80

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესონი ფავორად ჩაითვლება)

14414	გერმანია-იტალია	1.80	1.80
14415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.80	1.80

ვინ დაიწყებს თამაშს

19414	გერმანია-იტალია	1.85	1.85
19415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20414	გერმანია-იტალია	1.75	1.85
20415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.75	1.85

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22414	გერმანია-იტალია	1.70	2.00
22415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.70	2.00

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)

21414	გერმანია-იტალია	1.85	10.00	1.75
21415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.85	10.00	1.75

იძნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23414	გერმანია-იტალია	2.80	1.32
23415	საფრანგეთი-პორტუგალია	2.80	1.32

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24414	გერმანია-იტალია	1.80	1.80
24415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.80	1.80

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18414	გერმანია-იტალია	1.55	2.30
18415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.55	2.30

გაიხსნა ჯეკპოტის ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რონალდ დე ბურის შეგონება: არას გარგებთ თავის ჩაქინდვრა

რით ჰგავს ტყუპისცალი ტყუპისცალს? ფიქრით და თამაშის შეგრძნებით

ჰოლანდიის ნაკრების, ამსტერდამის „აიაქსის“, „ბარსელონას“ და „გლაზგო რეინჯერსის“ ყოფილი შუახაზელი რონალდ დე ბური რამდენიმე დღით ჩამოვიდა თბილისში — ის მისმა მეგობარმა შოთა არველაძემ დაპატიჟა. შოთა და დე ბური თანაგუნდელები ჯერ კიდევ „აიაქსში“ იყვნენ და მათი მეგობრობაც იქიდან დაიწყო, მერე კი არველაძემ და დე ბურმა ერთად „რეინჯერსშიც“ ითამაშეს სამი სეზონი.

დე ბური 90-იან წლებში ჰოლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, საკლუბო დონეზე თითქმის ყველაფერს მიაღწია და ჩვენთან ინტერვიუში იმასაც ამბობს, რომ უფრო მეტიც შეეძლო...

დე ბურს ძალიან ძლიერი ხელის ჩამორთმევა აქვს, ლაპარაკობს ყურადღებით, ემოციურად და მასთან საუბრისას მისხალი ეჭვიც არ შეგეპარებათ, რომ ის მხოლოდ იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს.

ბევრი რამ არ გავაგრძელოთ, „სარბიელის“ კითხვებს რონალდ დე ბური პასუხობს...

— თქვენი თბილისში ჩამოსვლის მიზანი რა არის?

— განსაკუთრებული მიზანი არ არსებობს, უბრალოდ, შოთა არველაძე ჩემი საუკეთესო მეგობარია და ჩემი აქ ჩამოსვლის იდეაც მისგან მოდის. თბილისში ჩამოსვლა აქამდეც მინდოდა და ეს შესაძლებელი ახლა გახდა. ყატარში სეზონი დასრულდა, ბოლო დღეები შოთასთან ერთად ვივარჯიშე „ალკაარში“, მერე მე და შოთას რამდენიმე თავისუფალი დღე გამოგვიჩნდა და თბილისში ჩამოვედით.

— ყატარში კიდევ რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?

— კიდევ ერთ წელიწადს. ყატარში თამაშობს ჩემი ძმა ფრანკიც, კიდევ სონი ანდერსონი, ხოსეპ გვარდიოლა, გაბრიელ ბატისტუტა, ფრანკ ლებეფი, მარსელ დესაი...

— შოთას უჩჩევდით ყატარში სათამაშოდ წასვლას?

— თუ მას მაღალ დონეზე თამაში აღარ მოესურვება, რატომაც არა?! ყატარში ცხელა, მაგრამ ზაფხულობით იქ საფეხბურთო სეზონი არაა. ყატარი მშვენიერი ადგილია, სადაც შეიძლება კარგადაც იცხოვრო.

— თბილისში ჰოლანდიიდან ჩამოხვედით — რა გამოხმაურება მოჰყვა ჰოლანდიის ნაკრების მარცხს მსოფლიოს თასის მერვედფინალში პორტუგალიასთან და თქვენ რას დააბრალებდით მარკო ვან ბასტენის გუნდის არცთუ შთამბეჭდავ თამაშს?

— რამდენიმე ფეხბურთელს გამოცდილება არ ეყო ასეთი დონის ტურნირისთვის, რამდენიმე კი კარგ ფორმაში არ იყო. მაგალითად, ფილიპ კოკუ. კარგად ვერ წარმოაჩინა თავი ნახევარდაცვამ, რამაც გამოიწვია ის, რომ მთლიანად გუნდი, ცოტა არ იყოს, სტატიკური იყო. გათვლა კეთდებოდა არიენ რობენზე და ის მართლაც დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ერთ კაცზე კი არა, მთლიანად გუნდზე უნდა შეგეძლოს დაყრდნობა. რაც შეეხება კონკრეტულად პორტუგალიასთან მატჩს, თითქოს ახლოს ვიყავით წარმატებასთან, მაგრამ პატარა რაღაც გვაკლდებოდა. ვან ბასტენი კი ძალიან არ გაუკრიტიკებიათ, მისი ხელმძღვანელობით გუნდმა კარგად ითამაშა საკვალიფიკაციო რაუნდში, მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე, ხოლო პორტუგალიასთან გუნდი ცალკეული ხარვეზების გამო დამარცხდა. ვან ბასტენი კარგი მწვრთნელია და მას კვლავაც დიდ პატივს სცემენ.

— თავის დროზე ვან ბასტენიც აიაქსელი იყო — რას ნიშნავს თქვენთვის ამსტერდამის „აიაქსი“?

— ამ გუნდში კარიერის ყველაზე წარმატებული წლები გავატარე, მოვიგე ბევრი ტიტული, მათ შორის ჩემპიონთა ლიგაც და ჰოლანდიაში წლის საუკეთესო ფეხბურთელიც აიაქსელობისას გავხდი.

— „აიაქსის“ მერე იყო „ბარსელონა“ და „რეინჯერსი“...

— „ბარსელონაში“ გავხდი ესპანეთის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგაში კი ნახევარფინალამდე მივაღწიეთ. „ბარსა“ სულ სხვა განზომილების კლუბია, პატარა წარუმატებლობაც კი დიდ გაწბილებას იწვევს. ის იყო, „ბარსას“ ძირითადში ადგილი დავიმკვიდრე და არ გამიმართლა — საზარდულის ტრავმის გამო სამი თვე გამიცდა, რის შემდეგაც უკვე ძალიან ძნელი იყო ძირითადში დაბრუნება და „რეინჯერსში“ გადავედი. გლაზგოში ძალიან გულიანი და თბილი გულშემატკივარია, ფანები სულ გმუხტავენ, მთელი 90 წუთი გამხნევებენ... „აიბროქსზე“ დიდებული სიტუაცია იყო.

— თქვენს კარიერაში რა იყო ყველაზე დიდი გაწბილება?

— „ბარსას“ ძირითადში ადგილის დაკარგვა. ამის გამო მე ბევრ თაშორისო დონეზე კარგ ფეხბურთელად დავრჩი, არაფერ, მეგეძლო, დიდი ფეხბურთელი ვერ ფეხბურთელი.

— თქვენმა ტყუპისცალმა ფრანკმა უფრო დიდხანს ითამაშა „ბარსელონაში“ — არასდროს გშურდათ მისი?

— ერთმანეთის ბავშვობაშიც კი არასდროს გვშურდა, ისევე, როგორც შოთას და არჩილს.

— ლუის ვან გაალი — რა შეგძინათ ამ მწვრთნელთან მუშაობამ? რა არის მისი, როგორც მწვრთნელის მთავარი ღირსებანი?

— მან მასწავლა, რომ მხოლოდ ნიჭი არ არის საკმარისი, ყველაფერი უნდა ჩადო იმ საქმეში, რასაც აკეთებ. ალბათ მოსაწყენია, როცა რომელიმე კომპონენტზე ბევრს ვარჯიშობ, მაგრამ ვან გაალს შეუძლია დაგარწმუნოს, რომ ეს აუცილებლად მოიტანს შედეგს. მას შეუძლია გასწავლოს, როგორ ითამაშო ფეხბურთი, ზუსტად განსაზღვროს გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები, ფეხბურთელს ზუსტად შეურჩიოს ამპლუა და მისგან მაქსიმუმი მიიღოს. რაც შეეხება მის მთავარ ღირსებას, ის პატიოსანია, არასდროს იძლევა საბაბს, ეჭვი შეგეპაროს მის პატიოსნებაში, ის ყოველთვის პირდაპირია.

— შოთა არველაძეზე, როგორც ფეხბურთელზე, რას იტყოდით?

— მას მთელი არსით უყვარს ფეხბურთი. ისეთი მოთამაშეა, რომელიც ყოველთვის ფიქრობს, სწორად იხსნება, მიზანდასახულია გოლის შესაგდებად, გრძნობს, როგორ ვითარდება თამაში. ფიქრი და თამაშის შეგრძნება — საკუთარ თავსაც ასეთ ფეხბურთელად მივიჩნევ.

— ალბათ ზოგადი წარმოდგენაც გაქვთ ქართველ ფეხბურთელებზე...

— ხიზანიშვილი, ქინქლაძე, კალაძე... გყავთ რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელი, მაგრამ მიმაჩნია, რომ თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მენტალიტეტის ფაქტორი. თამაში არ წაგივა და თავს ჩაქინდრავ — ეს ქართველი ფეხბურთელების ნაკლია.

დავით თავართქილაძე

საქართველოს შანსი: ფრანგი სუსტთან სუსტდება

კობიაშვილმა ინგლისელებს გაასწრო

ისედაც ხომ ვიცოდით და, მიმდინარე მუნდიალმა მთლად ბეჭედი დაასვა, თუ რა ბრძოლები ელის საქართველოს ნაკრებს სექტემბრიდან.

ჩვენი ეროვნული გუნდის და გერმანული „შალკეს“ ერთ-ერთ ლიდერს ლევან კობიაშვილს გელზენკირხენში დავუკავშირდით და, ცხადია, საფრანგეთ-იტალიაზე, ზოგადად, მსოფლიოს ჩემპიონატსა და „შალკეზეც“ ვკითხეთ...

— „შალკე“ ვარჯიშს ხვალიდან იწყებს. ჯერ მომავალი სეზონის გეგმებზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან გუნდის დაკომპლექტება მიდის. სამი ახალი ფეხბურთელი გვყავს, მათ შორის პიტერ ლოვენკრანდსი, რომელიც „გლაზგო რეინჯერსში“ თამაშობდა. შესაძლოა, კიდევ რამდენიმე ახალწვეული შემოგვემატოს.

— წინა სეზონის ბოლოს ბევრჯერ ითქვა, კობიაშვილს რამდენიმე სახელიანი კლუბი ეპატიჟებაო...

— სიმართლე ისაა, რომ „შალკეში“ ვრჩები. აქ კმაყოფილი ვარ და თანაც კონტრაქტი მაქვს გუნდთან.

— როგორც ვიცით, პორტუგალია — ინგლისის მატჩს დაესწარი...

— ულამაზესი თამაში იყოო, ვერ ვიტყვი. როგორც გადამწყვეტი მატჩებისას ხდება, დაძაბულობა ჰიკზე იყო, პორტუგალიაც ფრთხილად თამაშობდა და ინგლისიც, სულ პატარა შეცდომასაც კი უფრთხოდნენ.

— ინგლისელი ფანების გადამკიდე, წაგების მერე გელზენკირხენის ქუჩები რა მდგომარეობაშია?

— „შალკეს“ ფეხბურთელებთან ერთად ვიჯექი ტრიბუნაზე და ყველას ვეუბნებოდი, დროზე გავასწროთ სტადიონიდან, თორემ აქ ამბავი ატყდება-მეთქი... აბა, ინგლისელები წაგებას ასე იოლად როგორ აიტანდნენ?! რამდენიმე ფანი დააკავეს, თუმც, საბედნიეროდ, არეულობას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

— მთელი გერმანია ალბათ ჩემპიონობას ელის. პირადად შენ ვის მიიჩნევ ფავორიტად?

— გერმანიას მხოლოდ ნახევარფინალში გასვლა წარმატებად ვერ ჩაეთვლება, ასე რომ, აქ ჩემპიონობის გარდა არაფრის გაგონება არ სურთ. მგონია, რომ ფინალში გავა, აი, იქ რა მოხდება, ვერ გეტყვით — გუშინ საფრანგეთმა ბრაზილიასთან ისეთი ფეხბურთი ითამაშა... მოკლედ, საფრანგეთ — გერმანიის ფინალისკენ ვიხრები.

— გერმანია — არგენტინის მატჩის შემდეგ სტადიონზე ჩხუბი რომ მოხდა, მაგაზე რას წერს მაქაური პრესა?

— რაც იმ დღეს მოხდა, ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს. მე არ მინახავს ის მომენტი, მაგრამ რაც გაზეთებში წავიკითხე და ფოტოებზე ვნახე, ერთ-ერთი არგენტინელი ფეხბურთელი ჯერ ფეხს, შემდეგ კი ხელს ურტყამს გერმანელს. ბუნებრივია, აქაურები არცთუ ტკბილად იხსენიებენ არგენტინელებს.

— ალბათ, საქართველოს ნაკრების ევროშესარჩევი ჯგუფის სიძლიერეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია...

— რა თქმა უნდა, საფრანგეთმა კორეასთან და შვეიცარიასთან რომ ცუდად ითამაშა, მაშინაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მოუმატებდნენ. მათ შესარჩევ ციკლშიც ეტყობოდათ, რომ სუსტ გუნდებთან კონცენტრაციას ვერ ახდენდნენ, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრებში...

— ზოგადად, მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატების შემდეგ გრანდებს მცირე ჩავარდნა მაინც ეწყებათ. ეს პატარა შანსს გვაძლევს?

— საქართველოს ნაკრებმა თავისი მაქსიმუმი უნდა აჩვენოს და იმედია, ასეც მოხდება. რამდენად გვეყოფა ძალა, ეს სხვა საქმეა. ფაქტია, საფრანგეთს სუსტ ნაკრებებთან წაფორხილება სჩვევია. როგორც ვიცი, მაისში სლოვაკეთთან შინ წაგო ამხანაგური მატჩი. ასე რომ, ფრანგებს სუსტი წერტილები აქვთ და ამის გამოყენებას უნდა შევეცადოთ...

ილია ნანოგაშვილი

ინტერტოტოს თასი 2006

მიხეილ ბობოხიძე (მარცხნივ) უგოლოდ დაშვრა

კახა კაჭარავა მსაჯობით უკმაყოფილოა

ეს დინამო ამ რიდს...

კახა კაჭარავა: შინ ოთხი თავდამსხმელით ვითამაშებთ

მრავი. 1 ივლისი. 21 საათი. რიდი. 4 800 მაყურებელი

რიდი 3:1 დინამო

1:0 კლასპერი (7), 1:1 გრიგალაშვილი (37), 2:1 დრეშლერი (47პ), 3:1 სეო (80)

რიდი: ბერგერი, იანკი, დაბაკი, ედერი (ანგერშმიდი 70), მარტინესი, სეო (ვოლფი 86), დრეშლერი, ბრენერი, კასტნერი (ბრაუმაირი 70), კლასპერი, სულიმანი	**დინამო:** გრიშიკაშვილი, ამბროზიო, შ. კაშია, თომაშვილი, ს. კობახიძე, გიგაური, გრიგალაშვილი (ჯანაშია 88), ჩირიკაშვილი, იაშვილი, ხუციშვილი (მახარაძე. 52), ბობოხიძე (ჯ. დვალი 68)
მწვრთნელი: ჰელმუტ კრაფტი	**მწვრთნელი:** კახა კაჭარავა

გაფრთხილება: გიგაური (47), კასტნერი (63), კობახიძე (79)

მსაჯები: დ. სტანიშიჩი; ბ. კასანსკი, ნ. დარმანოვიჩი; რ. ბუჩი (ყველა სერბეთი)

უეფას დელეგატი: ჰ. კოტერხა (იტალია)

ავსტრიული „რიდი" ქართველებისთვის კარგად ნაცნობი გუნდია — თავის დროზე ინტერტოტოს გათამაშებაში თბილისის „მერანს" და „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრია.

ახლა კი „რიდი" თბილისის „დინამოს" გადაეყარა და ინტერტოტოს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში 3:1 დაამარცხა. თუმცა წინ საპასუხო შეხვედრაა და მომდევნო წრეში გასასვლელად ჩვენებს 2:0 ან მეტბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებათ.

„დარწმუნებული ვარ, რომ „დინამოს" „რიდის" დამარცხება შეუძლია. ჩემი ბიჭების მჯერა და საპასუხო მატჩის წინ ძალიან იმედიანად ვარ. „დინამოს" ქომაგთან ერთი თხოვნა მაქვს: მოდით სტადიონზე და თქვენი მხარდაჭერა გვაგრძნობინეთ, თქვენ „დინამოს" სჭირდებით. ჩვენი ახალგაზრდული გუნდისთვის გულმხურვალე ქომაგობა დიდი სტიმული იქნება. პირველ მატჩში „რიდის" წარმატება მეტწილად სწორედ ავსტრიელმა ქომაგებმა განაპირობეს" — გვითხრა „რიდთან" მატჩის შემდეგ „დინამოს" მწვრთნელმა კახა კაჭარავამ.

არადა, როგორც გვითხრეს, „დინამოს" შაბათს წასაგები არაფერი ჰქონდა. პირველი და სწრაფი გოლი მასპინძელთა ფორვარდმა კლასპერმა მე-7 წუთზევე კი გაიტანა, მაგრამ საწყისი მღელვარება ჩვენებმა მალევე უკან მოიტოვეს, ნელ-ნელა მეტოქეს და მოედანსაც გაუშინაურდნენ და შოთა გრიგალაშვილმა ანგარიშიც გაათანაბრა. ამ გოლამდე კი სანდრო კობახიძის ჩაწოდებულზე მის სეხნია იაშვილს შეეძლო თავურით გატანა, ხოლო იმავ გრიგალაშვილმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ უზუსტოდ.

თუმცა ანგარიშის გათანაბრებამდე მასპინძლებს მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ: თბილისელებს რიდელთა კონტრშეტევა გაეპარათ და გულვერდ თომაშვილმა კორეელი სეოს დარტყმული ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

გრიგალაშვილის გოლის შემდეგ დარჩენილ შვიდ წუთში კი „დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო. მიხეილ ბობოხიძეს და სანდრო კობახიძეს კარგი შანსებიც ჰქონდათ, მაგრამ „რიდის" მეკარე და მცველები ყოჩაღობდნენ.

შესვენების შემდეგ თამაშის განახლება და პენალტი ერთი იყო...

„არბიტრს არც კი დაუნახავს, დავით გიგაურმა ხელით ითამაშა თუ არა, თუმც მისმა ასისტენტმა რაღაც გამოიგონა, არბიტრს თამაში გაჩერებინა და პენალტი დაანიშნინა. არადა, იქ საამისო არაფერი ყოფილა. რამდენიმე წუთში ავსტრიელმა მცველმა თავის საჯარიმოში სწორედაც რომ ხელით ითამაშა, მაგრამ არბიტრს ამ დარღვევაზე რეაქცია არ ჰქონია" — ასეთი კომენტარი გააკეთა კახა კაჭარავამ. ეს პენალტი კი, ერთხელაც ვთქვათ, მატჩის განახლებისთანავე დაინიშნა და დრეშლერმაც შანსი უნაკლოდ გამოიყენა.

კაჭარავამ შეცვლებით სცადა თამაშის შემოტრიალება. ცენტრალურ ნახევარმცველ მიხეილ ხუციშვილს კახა მახარაძე ამჯობინა, ხოლო თავდამსხმელ ბობოხიძეს — ჯაბა დვალი. თუმცა ამ შეცვლამდე ბობოხიძეს ერთი ჩინებული მომენტიც შეექმნა — იაშვილმა საჯარიმოში თავით დაუგდო ბურთი, გოლიც თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მასპინძელთა ბედად კი მეკარე ბერგერმა იმარჯვა და შემტევს წამით დაასწრო.

მოგვიანებით ორი ფეხბურთელი მასპინძელთა მწვრთნელმა ჰელმუტ კრაფტმაც შეცვალა, თუმცა ამას თბილისელებმა ზედიზედ ორი სახიფათო მომენტი მიაყოლეს. ჯერ იყო და, გრიგალაშვილის დარტყმული ბერგერმა გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე, ორიოდ წუთში კი ჩირიკაშვილი აღმოჩნდა დასარტყმელად ძალიან კარგ პოზიციაში, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

„დინამოს" ანგარიში თითქოს წუთი-წუთზე მეორედაც უნდა გაეთანაბრებინა, თუმცა გოლი იქით მიიღო — მცველების შეუთანხმებლობით სეომ ისარგებლა და მესამე გაიტანა.

მატჩის ბოლომდე მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტიც გაცვალეს და საბოლოოდ 3:1.

რას უნდა ველოდოთ „დინამოსგან" 9 ივლისს თბილისში და რატომ წააგეს ჩვენებმა შაბათს? ამ კითხვებზე ისევ კახა კაჭარავა გვპასუხობს: „პირველი მატჩისგან განსხვავებით, შემადგენლობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება. ავსტრიაში ორი თავდამსხმელით ვითამაშეთ, მაგრამ მომავალ შეხვედრაში შეტევას გავაძლიერებთ და სამი, ეგებ ოთხი ფორვარდითაც კი ვითამაშოთ. მით უმეტეს, მცველი დავით გიგაური ორი ყვითელი ბარათის გამო ვერ ითამაშებს. ჩვენ ორი უპასუხო გოლი გვჭირდება და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ. „რიდი" სულაც არაა ის გუნდი, ამ „დინამომ" ვერ მოუგოს. დარწმუნებული ვარ ჩემი ფეხბურთელების შესაძლებლობებში და მჯერა, „რიდს" დავამარცხებთ.

...შაბათს წაგების მთავარი მიზეზი გამოუციდელობა იყო. „დინამო" ახალი გუნდია, ერთად ვარჯიში, ფაქტობრივად, ერთი თვის წინ დავიწყეთ, ბევრ ფეხბურთელს კი ევროსარბიელზე სულაც დებიუტი ჰქონდა. ერთადერთი, რითაც „რიდმა" გვაჯობა, სწორედ გამოცდილებით, ამ გუნდში 30-32 წლის ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც უკვე რამდენიმე სეზონია, ერთად არიან. გამოცდილება და ცოტაც იღბალი — აი, რატომაც დავმარცხდით.

...ახლაც ვერ ამიხსნია, როგორ გავიდა პირველი გოლი ჩვენს კარში — ბურთი ოც ფეხბურთელს შორის გაძვრა, თანაც მატჩის დასაწყისშივე. მოკლედ, შედეგით, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ. ძალიან სასიამოვნო იყო, რომ მაშინაც კი, როცა ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ, ფეხბურთელებმა, ყურები არ ჩამოყარეს, ბოლომდე იბრძოლეს და მეტოქეს ბევრი პრობლემა შეუქმნეს.

ვიტელთა მესამე და ოპტიმალური



ნესტორ მუმლაძე

უკრაინულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" მესამე საკონტროლო მატჩი ითამაშა — სევასტოპოლში „ზაკარპატიეს" გაეჯიბრა და შეხვედრა 3:3 დასრულდა.

წინა ორ თამაშში „ვიტ ჯორჯია" ორ-ორი შემადგენლობით თამაშობდა. ახლა კი ასე არ მოხდა — ვიტელებმა ორივე ტაიმი ოპტიალური შემადგენლობით ითამაშეს: *ბედიაშვილი, ჰ. დათუნაშვილი (ჯაფარიძე 46), ა. კვახაძე, ლომია, გველესიანი, გ. დათუნაშვილი, რაზმაძე, დიღმელაშვილი, გელაშვილი (ლიპარტია 67), ფეიქრიშვილი, ბერიაშვილი (ლუჯაშვილი 60).*

ვიტელთაგან გოლები გიორგი ფეიქრიშვილმა (32), ნიკა გელაშვილმა (58) და ვასილ ღუჭაშვილმა (89) გაიტანეს.

მორიგ საკონტროლო მატჩს „ვიტ ჯორჯია" 5 ივლისს გამართავს იქაურ „კრიმტეპლიცასთან", მანამდე კი, შესაძლოა, მეორე შემადგენლობისთვისაც გამოძებნოს სპარინგ-მეტოქე.

დავით თამართაძილაძე

სერგო ორბელაძის ხარკოვული ტესტები

ჯაკობიაც გამოჩნდა...

თბილისის „დინამოს" მცველი სერგო ორბელაძე ხარკოვის „მეტალისტშია" — ქართველმა ფეხბურთელმა უკვე ამხანაგური მატჩიც ჩაატარა უკრაინული გუნდის შემადგენლობაში, სადაც მას კიდევ ერთი ჩვენებური, ლაშა ჯაკობია დახვდა.

ჯაკობია ხარკოველთა კაპიტანი და ლიდერია, თუმც მიკროტრავმის გამო აქამდე უქმად იყო. დონეცკის „მეტალურგთან" მატჩში კი 58-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

სრულად ითამაშა ორბელაძემ — მას ცენტრალური მცველობა დაეკისრა და ვნახოთ, დაიტოვებენ თუ არა ხარკოველები ქართველ მცველს, რომელიც „დინამოს" ტრანსფერზე ჰყავს დაყენებული.

თამაში კი დონეცკელებმა 2:0 მოიგეს, თუმც მათ ქართველ ლეგიონერ გიორგი დემეტრაძეს გოლი არ გაუტანია — იგი პირველი ტაიმის მერე შეცვალეს.

კახა შალამბერიძე

ინტერტოტოს თასი

II ეტაპი. პირველი მატჩები

1 ივლისი

მოსკვა (რუსეთი) 2:0 **მტზ-რიპო** (ბელარუსი)
ლილესტრიომი (ნორვეგია) 4:1 **კეფლავიკი** (ისლანდია)
მაკაბი (ფ-თ, ისრაელი) 1:1 **ზრინსკი** (ბოსნია)
ტირასპოლი (მოლდოვა) 1:0 **ლეხი** (პოლონეთი)
შოპრონი (უნგრეთი) 3:3 **ქაისერისფორი** (თურქეთი)
ფარული (რუმინეთი) 2:1 **ლოკომოტივი** (ბულგარეთი)

2 ივლისი

ოდენსე (დანია) 3:0 **შელბურნი** (ირლანდია)
ჰიბერნიანი (შოტლანდია) 5:0 **დინაბურგი** (ლატვია)
ნიტრა (სლოვაკეთი) 2:1 **დნიპრო** (უკრაინა)
ტამპერე (ფინეთი) 1:2 **კალმარი** (შვედეთი)
ზეტა (სერბეთი) 1:2 **მარიბორი** (სლოვენია)
გრასჰოპერი (შვეიცარია) 2:0 **ტეპლიცე** (ჩეხეთი)
ოსიეკი (ხორვატია) 2:2 **აშნა** (კვიპროსი)

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-ჯგუფში გასანევრიანებელი აპლიკაცია

GFF

სახელი: .....
გვარი: .....
დაბადების თარიღი: .....
ელ-ფოსტა: .....

სარგებელი

საინფორმაციო მხარდაჭერა

ლიმპი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დავით ნამგალაურმა ელგუჯა ბერიშვილი დააჯილდოვა

ესეც ჩვენი ვებგვერდი

გუშინ სპორტულმა ჟურნალისტებმა კაფე „მსოფლიო სპორტში“ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქმის პრეზენტაციაზე მოვიყარეთ თავი. ეს გახლდათ პრეზენტაცია ვებგვერდისა „ქართული სპორტის ფოტოისტორია“, რომელიც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა და ვებოსტატმა ლევან ჩხეიძემ წარმოგვიდგინეს.

ეს პრეზენტაცია გუშინ შემთხვევით არ გამართულა — ამ კვირა დღეს ჩვენი ამქარი სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღესაც ავღნიშნავდით და როგორც ზეიმს შეფერის, გვსურდა ეს დღე ჩვენს სახელგანთქმულ სპორტსმენებთან ერთად გაგვეტარებინა, მაგრამ მოპატიჟების მიუხედავად, „ვარსკვლავებმა“ გვიღალატეს. არადა, ამ საპრეზენტაციო ვებგვერდზე მათი არაერთი საინტერესო ფოტოა.

ჰოდა, გვინდა შევახსენოთ იმ „ვარსკვლავებს“, რომ „არ არსებობს სპორტული ჟურნალისტიკა უსპორტსმენებოდ და არც სპორტი არსებობს სპორტულ ჟურნალისტთა გარეშე“.

„სამაგიეროდ“, გუშინდელი დღე მოგვილოცეს და საქმეც დაგვიფასეს სპორტულმა ფუნქციონერებმა. ამასთან, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური ხელდამშვენებულიც მოვიდა და ჩვენი ასოციაცია „სპორტის პროპაგანდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის“ სიგელითაც დააჯილდოვა.

აი, სპორტსმენთაგან კი ისევ ვეტერანმა, მსოფლიოს ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა გურამ საღარაძემ დაგვდო პატივი.

ახლა მთავარზე.

როგორც ელგუჯა ბერიშვილმა გუშინდელ პრეზენტაციაზე თქვა, ვებგვერდის შექმნის იდეა ამ ოთხი წლის წინათ დაიბადა. როგორც ყველა საქმეს, მასაც ბევრი პრობლემის გადალახვა მოუხდა, მათ შორის ფინანსურისაც, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს მხარდაჭერა აღმოუჩინეს. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსი დავით უდესიანი, რომლის თანადგომაც გუშინ ხაზგასმულად აღინიშნა.

ელგუჯა ბერიშვილმა ავანსად მადლობა გადაუხადა ყველა ფოტოკორესპონდენტს, რომლებიც თავიანთი ნამუშევრებით მომავალშიც გაამდიერებენ ამ ვებგვერდს, რომელიც დღეისთვის 2000-მდე ისტორიულ სურათს მოიცავს, მომავალში კი ალბათ 5000-ს მიაღწევს.

ეს ფოტოსურათები ასახავენ საქართველოს სპორტის ისტორიას. უძველესი 1890-იან წლებშია გადაღებული და ბევრი მათგანი უაღრესად უნიკალურია, დღემდე არასოდეს გამოქვეყნებულა. ზოგი მათგანი ისტორიასაც კი ცვლის. მაგალითად, დღემდე ცნობილი იყო, რომ ქართველებმა ციგურაობა 1960-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს, მაგრამ აი, ერთ-ერთ ფოტოზე ვხედავთ ქართული სპორტის მებაირახტრეს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ გიორგი ნიკოლაძეს, რომელიც ციგურებზე შემდგარა. არადა, ეს ფოტო 1900-იანი წლების დასაწყისშია გადაღებული.

ან გავიხსენოთ 1902 წელს გადაღებულ ფოტოზე აღბეჭდილი იგივე გიორგი ნიკოლაძე, რომელიც თავის დასთან... კროკეტს თამაშობს.

ვებგვერდის კატალოგში შეიძლება ნახოთ გასულ საუკუნეში გადაღებული სახელგანთქმული ქართველი ფალავნების კულა გლდანელის, ნესტორ ესებუასა თუ ცხენოსანთა ისტორიული სურათები.

ერთი სიტყვით, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილის თაოსნობითა და მონდომებით „სპორტის ენციკლოპედიის“ გამოცემის კვალდაკვა ამ ვებგვერდის შექმნით კიდევ ერთი დიდი საქმე გაკეთდა.

ავთანდილ ბყვიშელი





გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ლევან ჩხეიძე: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება

თავისუფალი თემა: ნახევარგუნდი

როგორმე სასწორს თუ მივუსწარით...

უნგრეთის ქალაქ სომბატჰეიში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი ქართველების გარეშე დაიწყება. ჩვენმა ნაკრებმა მოსამზადებელი ციკლიც ნორმალურად გაიარა, თადარიგიც რიგიანად დაიჭირა, თბილისი-სტამბოლი-ბუდაპეშტის ავიაბილეთები 1 ივლისისთვის დაბრონა, მაგრამ... ნუგზარ სხირელი და მისი გუნდი ჯერაც თბილისშია. შაბათს „სარბიელში“ მწვრთნელის წინასატურნირო კომენტარი დაიბეჭდა. მას პარასკევს, საღამოხანს ველაპარაკეთ. ხოლო, როცა იმ სტატიას წაიკითხავდით, ქართველები წესით უკვე უნგრეთში უნდა ყოფილიყვნენ. სხირელი დარწმუნებული იყო, რომ რამდენიმე საათში გაემგზავრებოდნენ. საქართველოში უნგრეთის საკონსულო არ არსებობს და ვიზებიუკრაინიდან ღამის რეისით უნდა ჩამოსულიყო

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

კახა გეწაძე

„სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ვიზები დაგვიგვიანეს და ევროპის ჩემპიონატზე წასვლა სათუო გახდა — გვითხრა გუშინ სხირელმა — ზუსტად ვერ გეტყვით, რა მოხდა. ჩვენ თადარიგი დროულად დავიჭირეთ. საკონსულოს დაუდევრობამ დაგვაღალატა“.

თავისუფლები უნგრეთში მაინც ჩავლენ, თუმც ხალიჩაზე გასვლას, სავარაუდოდ, მხოლოდ ნახევარი გუნდი მოასწრებს.

ნუგზარ სხირელი: „55, 66, 84 კილოგრამი წონითი კატეგორიის და მძიმე წონის მოჭიდავეები ორდღიანი ტურნირის მეორე დღეს, 5 ივლისს ჭიდაობენ და, ალბათ, იქ მაინც გამოვალთ. როგორც შევიტყვეთ, სავიზო პრობლემა უკვე მოგვარებულია. ორშაბათს უკრაინიდან საქართველოს ელჩი თბილისში ჩამოდის და ვიზები მას მოაქვს. ჩვენ კი სამშაბათს გამთენიისას გავემგზავრებით თბილისი-სტამბოლი-ბუდაპეშტის ავიარეისით. თვითმფრინავიდან პირდაპირ სასწორზე აღმოვჩნდებით. ბოლო ორი წონის აწონვა 3 საათზეა და წინასწარი გათვლებით, მასზე მისწრებაც საეჭვოა, თუმც ორგანიზატორები თავად დაგვხვდებიან ბუდაპეშტში და თავიანთი ტრანსპორტით წაგვიყვანენ სომბატჰეიში. ამ ქალაქებს შორის დაახლოებით 300 კილომეტრი ყოფილა.“

ქართულ-უნგრული პრობლემის მოსაგვარებლად უკრაინაში საქართველოს ელჩი გიორგი ქათამაძე საქმეში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა, პარლამენტარმა კახა გეწაძემ ჩარია. ვითარებაში უკეთ გასარკვევად გუშინ მასაც შევხვდებიანეთ.

— ელჩისთვის რომ არ მიგვემართა, ეგებ კიდევ რამდენიმე დღე დაგვჭირვებოდა ლოდინი.

— რატომ შეიქმნა ეს პრობლემა?

— თავიდან გვითხრეს, კონსულს ინსულტი დაემართა და ცოტა ხანს გვაცადეთო, თან გვაიმედებდნენ, ყველაფერი მაინც დროულად მოგვარდებაო. რომ მიხვდნენ, აღარ ესწრებოდა, უკვე ახალი დაპირება მივიღეთ — ნაკრები გაემგზავრებოდა და დელეგაციის წევრები უნგრეთის ვიზებს საზღვარზე მიიღებდნენ. სამწუხაროდ, არც ეს ვარიანტი გამოვიდა. ელჩს ამის შემდეგღა მივმართეთ და დაგვპირდა, ორშაბათს ვიზებს თავად ჩამოიტანთო.

— ორშაბათს სომბატჰეიში უკვე აწონვაა...

— სამწუხაროდ, იმ ოთხ წონაში, რომლის აწონვაც ორშაბათს მოხდება, ქართველები ვერ იჭიდავებენ. მეორე ოთხეულმა კი აწონვას აუცილებლად უნდა ჩაუსწროს.

— ამ გაუგებრობის გამო საერთაშორისო ფედერაციიდან სანქციებს ხომ არ ელით?

— თუ ოთხი კაცი ვაჭიდავეთ, სავარაუდოდ, ფინანსურ სასჯელს გადავურჩებით. მთელი გუნდის ჩაუსვლელობის შემთხვევაში კი სოლიდურ ჯარიმას ვერაფრით ავცდებით.

— უნგრეთის საკონსულოს ფინანსურ კომპენსაციას არ მოთხოვთ?

— აზრი არ აქვს. მაინც ვერაფერს გავხდებით. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, საგარეო საქმეთა სამინისტროს ვთხოვთ, უნგრულ მხარეს საპროტესტო ნოტა გაუგზავნოს.

აქვე ერთი ახალი ამბავიც, ევროპაზე წამსვლელ ოთხეულში მწვრთნელმა ყველაზე გამოცდილი — მძიმეწონოსანი გიორგი ნიკურაძე ბოლოწამს შეცვალა დავით მოძმანაშვილით, რომელსაც ვიზების დროულად ჩამოსვლის შემთხვევაში 96 კილოგრამში უნდა ეჭიდავა. ნაავადმყოფარი ევროპის მოქმედი ჩემპიონი კი ხალიჩას ივლისის შუა რიცხვებში, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, „ვახტანგ ბალავაძის თასზე“ დაუბრუნდება.

ოთარ მაღლაკელიძე

უიმბლდონი 2006. ბალახი. საპრიზო 10 378 710 £

აგასის უიმბლდონი ნადალმა დაასრულა

ამერიკელმა ესპანელი ქართველს დაუტოვა



AFP ლონდონიდან

ანდრე აგასი ლონდონურ პუბლიკას დაემშვიდობა

1 ივლისი

კაცები

მესამე წრე

ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — მარდი ფიში (აშშ) 6:2 (უარი); **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ანდრე აგასი (25, აშშ) 7:6 6:2 6:4; **იარკო ნიემინენი** (22, ფინეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 1:6 6:2 6:3 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი** (27, რუსეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (5, ხორვატია) 5:7 4:6 6:1 7:6 6:2; **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — ენდი როდიკი (5, აშშ) 7:6 6:4 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (18, კვიპროსი) — სებასტიან გროჯანი (15, საფრანგეთი) 4:6 6:4 6:4 6:1

ქალები

მესამე წრე

ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1 6:2; **ანა ივანოვიჩი** (19, სერბეთი) — დინარა საფინა (14, რუსეთი) 3:6 7:6 6:1; **ანასტასია მისკინა** (9, რუსეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) ; **ელენა იანკოვიჩი** (26, სერბეთი) — ვინუს უილიამსი (6, აშშ) 7:6 4:6 6:4; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — ემი ფრეიზერი (აშშ) 6:3 6:2; **ფლავია პენეტა** (16, იტალია) — შუაი ჰენგი (ჩინეთი) 6:2 6:3; **შენეი პერი** (აშშ) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 7:5 6:3; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — ელენა ლიხოვცევა (25, რუსეთი) 7:5 6:3

ირაკლი ლაბაძემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და უიმბლდონის მეოთხე წრეში, ანუ მერვედფინალში გააღწია. არადა, აქამდე ქართველს არა თუ უიმბლდონზე, არამედ სხვა რომელიმე სლემტურნირის მესამე წრემდეც არასოდეს მიუღწევია. ახლა კი აგერ უკვე სად არის და, რაც მთავარია, შთაბეჭდილება იქმნება, რომ ირაკლი თანდათანობით უმატებს.

ამჯერად კი ჩვენებურს ძალიან გაუმართლა. არა, კი არ აგებდა და ან რამე ამდაგვარი, მაგრამ მხოლოდ ერთი სეტის თამაში მოუწია და საქმის მალე მოთავება ცუდი ნამდვილად არ არის. ირაკლიმ პირველი სეტი ადვილად მოუგო მარდი ფიშს, შემდეგ კი ამერიკელმა თამაში ვეღარ გააგრძელა...

ლაბაძის შემდეგი მეტოქე სერიოზულზე სერიოზულია — ირაკლი ტურნირის მეორე ნომერს და თანამედროვე ჩოგბურთის ერთ-ერთ პირველკაცს, რაფაელ ნადალს შეხვდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესპანელი ჩვენებურივით ცაციაა, რაც ლაბაძეს, ალბათ, ერთიორად გაურთულებს პირინეელთან თამაშს.

თუმც ირაკლი უშანსოდ ნამდვილად არ არის — ნადალს გრუნტზე რომ ხვდებოდეს, მაშინ მასზე მართლა არავინ დადებდა გახვრეტილ შაურსაც კი, მაგრამ ეს თამაში ბალახზე იქნება, რაც მეტოქეთა შანსებს შესამჩნევად ათანაბრებს. ესპანელი მაჩო არასოდეს გამოირჩეოდა ბალახზე კარგი თამაშით და მეოთხე წრემდე ისიც პირველად მივიდა. ასე რომ, ნადალთან მინიმუმ ბრძოლა შეიძლება და მერე უკვე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. აკი, თვითონ ნადალიც სერიოზულად უყურებს თავის მომავალ მეტოქეს:

„ის სახიფათო მოთამაშეა — კარგადაც აწვდის და ძალიან აგრესიულად თამაშობს. ურთულესი მატჩი იქნება“ — წინასწარ ფრთხილობს გრუნტის მეფე.

ლაბაძე კი არ კმაყოფილდება ერთეულთა თანრიგში მიღწეულით და წყვილებშიც მშვენივრად იქნევს ჩოგანს. მეწყვილე სერბ დუშან ვემიჩთან ერთად, ჩვენებურმა უკვე ორი წრის გავლა მოასწრო. ასე რომ, ირაკლი ჯერჯერობით ყველა ფრონტზე წარმატებით გამოდის და იმედი დავიტოვოთ, რომ ასევე გააგრძელებს.

მაგრამ შაბათის მთავარი მოვლენა მაინც ანდრე აგასის მიერ უიმბლდონზე გამართული ბოლო მატჩი იყო. მოგეხსენებათ, ეს 36 წლის ამერიკელის ბოლო ლონდონური ვოიაჟი გახლდათ, რომელსაც წერტილი ნადალმა დაუსვა, მოუგო რა თავის გამოცდილ და სახელოვან კოლეგას სამ სეტში.

„აქ ულამაზესი წლები გავატარე და ყოველთვის ვგრძნობდი თქვენს დიდ მხარდაჭერას. გმადლობთ ყველაფრისათვის. მე საპასუხოდ მხოლოდ ამის გაკეთება თუ შემიძლია და მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ჩემი თამაშით ბევრს ვასიამოვნე“ — ასე გამოეთხოვა უიმბლდონურ პუბლიკას თვალცრემლიანი აგასი...

თუ პარასკევს ფავორიტთა შავი დღე ვუწოდეთ, შაბათი მაშინ ცხადი კოშმარი გამოვიდა. ლაბაძის და ნადალის მიერ დაწყებული ესტაფეტა ენდი მიურემ კარგად აიტაცა და წლევანდელი უიმბლდონი ამერიკელების გარეშე დატოვა. ორი ენდის დაპირისპირებაში ადგილობრივთა გასახარად მიურეიმ მოულოდნელად იოლად მოუგო როდიკს და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღესდღეობით ნომერ პირველი ბრიტანელი ჩოგბურთელია.

როდიკი კი ნელ-ნელა უშინაურდება ტურნირების საწყის წრეებში წაგებას და ტოპ-მეჩოგნეობიდან საშუალოთა კატეგორიაში გადადის.

მეორე დიდი და ხმაურიანი სენსაცია კი უიმბლდონის მოქმედი ჩემპიონის — ვინუს უილიამსის გამოვარდნა იყო. ვინუსი წინა წრეში ლიზა რეიმონდს კი გადაურჩა და იქაც ლამის წაგებული თამაში ამოქაჩა, მაგრამ ზედიზედ მეორედ იმავე გმირობის ჩადენა ვეღარ მოახერხა და გზა ელენა იანკოვიჩს დაუთმო.

საერთოდ, უიმბლდონის მეორე კორტს ჩემპიონთა სასაფლაოს ეძახიან — იმდენ ფავორიტს წაუგია, რომ ყოველ წელს სწორედ იქიდან ელიან ხოლმე სენსაციებს. ჰოდა, შაბათსაც ვინუსი სწორედ ამ „წყეულ“ კორტზე დამარცხდა.

სამაგიეროდ, ეს გამოცდა ჩააბარა მარია შარაპოვამ და ფინალისკენ კრეისერული სიჩქარით სვლა განაგრძო. წლევანდელ გათამაშებაზე რუს პრიმაზე არაფერი მოქმედებს და ჯერ ხუთ გეიმზე მეტი არ წაუგია. მაშას მორიგი მსხვერპლი ემი ფრეიზერი აღმოჩნდა.

ისე, უილიამსმა შარაპოვას ფინალისკენ მიმავალი გზა მნიშვნელოვნად გაუადვილა და მარიასაც კარგი შანსი აქვს, ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავაც აღმართოს უიმბლდონური სინი.

კახა ლომაშვილი

AFP ლონდონიდან

ენდი როდიკი ძველ დიდებას მისტირის



ბენ ვოლესი იქნებ „დეტროიტს“ გამოემშვიდობოს კიდეც

ხარეზმა ფრენა მოინდომეს

დამთავრდა პლეი ოფი, ჩატარდა დრაფტი და ნბა-ში მომავალი სეზონისთვის მზადების სიომაც დაბერა — 1 ივლისიდან გუნდებს და მოთამაშეთა აგენტებს მოსალაპარაკებლად ხელ-ფეხი გაეხსნათ. ნბა-ს საქმეთგამრიგეთა დაწესებით კონტრაქტების ოფიციალურად გაფორმება 12 ივლისიდანაა ნებადართული, მანამდე კი მხარეები სიტყვიერად თანხმდებიან ერთმანეთში.

ხმაურიანი გამოვიდა „ინდიანას“ თავისუფალი აგენტის პრედრაგ სტოიაკოვიჩის გადასვლა „ნიუ ორლეანში“. მისი აგენტის თქმით, როგორც კი **NBA** ტაბუს ახსნის, პეჯა მაშინვე მოაწერს ხელს „ნიუ ორლეანთან“ 5-წლიან და 64-მილიონიან კონტრაქტს და 29 წლის სერბისთვის 8-წლიან ამერიკულ კარიერაში ეს მესამე გუნდი იქნება. სტოიაკოვიჩმა აქამდე 7,5 სეზონი ითამაშა „საკრამენტოში“, ბოლო ორიოდ თვე კი „ინდიანას“ მაისურა მოირგო, ოღონდ პლეი ოფში ტრავმიანობის გამო დიდად ვერ დეხმარა მას.

203-სანტიმეტრიანი, ამპლუით ფრთა სტოიაკოვიჩი თანამედროვე ნბა-ში ერთ-ერთ საუკეთესო შორმსროლელად ითვლება, კარიერაში საშუალოდ ნაგროვები 18,4 ქულით და 3 ოლ სტარით მოიწონებს თავს და სჯერა, რომ „ნიუ ორლეანში“ საქმე კარგად წაუვა. გუნდი მხოლოდ ფულის გამო არ შეუცვლია, „ჰორნეტსში“ წარმატებული თამაშის კარგი შანსი ექნებაო — ამბობს მისი წარმომადგენელი. ამ გუნდში ის სეზონის საუკეთესო ახალბედას კრის პოლის შთავარ დამხმარედ აღიქმება.

გუნდი გამოიცვალა სტოიაკოვიჩის თანამემამულე ვლად რადმანოვიჩმაც, ოღონდ ის შორს არ წასულა, ძველ ქალაქში, ლოს ანჯელესში დარჩა — ეგაა „კლიპერსიდან“ „ლეიკერსში“ გადაბარგდა. უცნობია რა დაუჯდა „ლეიკერსს“ თანაქალაქელისთვის 208-სანტიმეტრიანი ფორვარდის წართმევა. „კლიპერსმა“ კი 13 მილიონად 2 წლით დარჩენაზე დაითანხმა 36 წლის გამთამაშებელი სემ კასელი, რომელმაც წლევანდელ პლეი ოფში კლუბი პირველად გაიყვანა მეორე წრეში.

„დენვერ ნაგიტსში“ 5 წლით და 80 მილიონად (!) რჩება გუნდის ახალგაზრდა ლიდერი კარმელო ენტონი. ხოლო რას იზამს მისი თანატოლი ლებრონ ჯეიმსი, ეს უცნობია. ბოლო სეზონში ზღაპრულად მოთამაშე ლებრონს მისი „კლივლენდი“ ზუსტად ისეთ პირობებს სთავაზობს, როგორიც „დენვერმა“ ენტონის შესთავაზა, მაგრამ ჯეიმსი პასუხისგან ჯერ თავს იკავებს.

ჯორდანის წასვლის შემდეგ ჩაყვინთულმა და ამ ორი წლის წინ ამოყვინთულმა „ჩიკაგო ბულზმა“ ფრენაც მოინდომა და ლიგის ოთხგზის საუკეთესო დამცველს, ერთ-ერთ უძლიერეს მეფარე ბენ ვოლესს მიადგა, რომელსაც „დეტროიტთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა. თუ ვოლესი კარიერის „ჩიკაგოში“ გაგრძელებას დაყაბულდა, ეს იქნება სეზონთაშორისი პერიოდის ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სიახლე.

რაღაც სასწაულით ვერგაჩემპიონებული „დალას მავერიკსი“ კი ალბათ არ გეგმავს შემადგენლობის გადაწყობას. ამის დასტურად ტეხასელებმა 6 წლით დარჩენაზე დაითანხმეს გუნდის მეორე ბომბარდირი ჯეისონ ტერი.

კოტე ყორღია

პრედრაგ სტოიაკოვიჩი

ტურ დე ფრანსი 2006. 1–23 ივლისი

მოიკვეთე და განაგდე

AFP

ტორ ჰუსჰოვდი

შაბათს სტრასბურში 7-კილომეტრიანი პროლოგით დაიწყო ფავორიტებმოკვეთილი ტურ დე ფრანსი, მსოფლიოს უპრესტიჟულესი ველოტური. სამი გოროზი მრბოლი — ულრიხი, ბასო და მანსებო — როგორც დოპინგით „დასნეულებული სხეული“ თავიანთმა გუნდებმა მოიკვეთეს და განაგდეს. სხვებიც ბევრნი ემსხვერპლნენ ბოლო წლების ყველაზე ხმაურიან დოპინგსკანდალს. გუნდ „ფრანსეზ დე ჟუს“ უსახელო მრბოლმა კარლოს და კრუზმა გაგდებულებს ზურგში ეს ფრაზა მიაყოლა — „ჩვენთვის ეს გადასარევი სიახლეა. ეგენი ამ ტურიდან კი, არა, საერთოდ, სპორტიდან უნდა გაყარო, მათი ლიცენზიები კი უნდა ადგე და გადაყარო.“

„ჩვენთვისო“ რომ ამბობს, ალბათ, იმ ჭილყვავა მრბოლებს გულისხმობს, რომელთაც ბასოს და ულრიხის დამარცხების ჭანჭიკისხელა შანსიც არ აქვთ.

სტრასბურის ქუჩებში პროლოგი კი ზორბა ნორვეგიელმა ტორ ჰუსჰოვდმა მოიგო, ვინც სტარტიდან ფინიშამდე გზა 8 წუთსა და 17 წამში გალია და სულ რაღაც ნახევარი წამით მიასწრო ამერიკელ ჯორჯ პინკეპის. 8,21 წუთით მესამე ადგილი შეხვდა ამერიკელსავე დევიდ ზაბრისკის.

ამ გამარჯვების წყალობით ჰუსჰოვდმა დროებით ჩაიცვა საერთო ჩათვლის ლიდერის ყვითელი მაისურა, რადგან თავისი წონის წყალობით ნოვეგიელს მთებში სიარული უჭირს, მთაში კი კარგი შედეგი თუ არ აჩვენა, ტურს ვერავინ მოიგებს, თუნდ ინდივიდუალურ რბოლებში ველოებს კი არა, მოტოციკლებს უსწრებდეს.

ყვითელისთვის არა, მაგრამ მწვანე მაისურისთვის კი ნამდვილად იბრძოლებს ნორვეგიელი. მწვანეს აძლევენ ყველაზე ფეხჩაუქ სპრინტერებს და ამ ფერის მაისურა ჰუსჰოვდს 2005 წლის ტურზეც შეხვდა. ამ საქმეში წლეულს მისი მთავარი კონკურენტები ბელგიელი ტომ ბოონენი და ავსტრალიელი რობი მაკიენი იქნებიან. ამ უკანასკნელს 2002 და 2004 წლებში მოურგია უჩაუქესი სპრინტერის მაისურა.

კოტე ყორღია

სტუდენტთა მე-18 მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი

პოლონეთი — საქართველო 24:24 (10:12)

პოლონეთის ქალაქ გდანსკში გუშინ სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და ჯგუფური ეტაპის პირველივე ტურში საქართველოს ნაკრებს მეტოქედ მასპინძლები ჰყავდა.

როგორც ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა ზურაბ კეკელიძემ სატელეფონო საუბარში გვითხრა, ქართველმა ხელბურთელებმა სადებიუტო ამოცანა საკმაოდ კარგად გადაჭრეს და რომ არა რუსი მსაჯების არაობიექტურობა, ალბათ, მოიგებდნენ კიდეც. თუმცა, საბოლოო შედეგით ჩვენი ნაკრების თავკაცები მაინც კმაყოფილები არიან, მით უმეტეს, რომ ბოლო წუთზე უკან ვიყავით და სერგო დათუკაშვილის ზუსტი ტყორცნით მოვიპოვეთ ერთი ქულა.

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცხრე ეტაპი

დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. დონინგტონი — 4,023 კმ

მოტო გრან პრი — 120,7 კმ

1	დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა)	44 წთ; 54,9
2	ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა)	ჩამორჩა 3,9
3	მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა)	4,0

საერთო ჩათვლა

1 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) 153 ქულა; 2 პედროსა 127; 3 როსი 118; 4 მელანდრი 114; 5 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) 107

250 სმ³ — 108,6 კმ

1	ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია)	42 წთ; 16,3
2	ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია)	ჩამორჩა 6,3
3	ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM)	7,4

საერთო ჩათვლა

1 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰუმანჯესტ ჰონდა) 159 ქულა; 2 ლორენცო 158; 3 დე ანჯელისი 111; 4 აოიამა 108; 5 იუკი ტაკაჰასი (იაპონია, ჰუმანჯესტ ჰონდა) 108

125 სმ³ — 100,6 კმ

1	ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია)	40 წთ; 49,1
2	მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM)	ჩამორჩა 3,4
3	მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია)	3,5

საერთო ჩათვლა

1 ბატისტა 185 ქულა; 2 კალიო 133; 3 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 114; 4 პასინი 112; 5 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 110

ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეათე ეტაპი



ამერიკელთა საკულტო, ინდიანაპოლისის ავტოდრომის სანახევროდ ცარიელი ტრიბუნები, ექვსმანქანიანი ავარია თითქმის რბოლის დაწყებისთანავე, ფერარელების — მიხაელ შუმახერისა და ფელიპე მასას უზარმაზარი უპირატესობა კვალიფიკაციიდან მოყოლებული, რბოლის ფინიშამდე და ჩემპიონისა და ლიდერის, ფერნანდო ალონსოს პირველი უპოდიუმო რბოლა წლევანდელ სეზონში — ასეთი იყო მოკლედ ამერიკის დიდი პრიზის გუშინდელი გათამაშება.

		ბაჰრეინი 12 მარტი	მალაიზია 19 მარტი	ავსტრალია 2 აპრილი	სან მარინო 23 აპრილი	ესპანეთი 7 მაისი	მონაკო 14 მაისი	ევროპა 28 მაისი	დ.ბრიტანეთი 11 ივნისი	კანადა 25 ივნისი	აშშ 2 ივლისი	საფრანგეთი 16 ივლისი	გერმანია 30 ივლისი	უნგრეთი 6 აგვისტო	თურქეთი 27 აგვისტო	იტალია 10 სექტემბერი	बेल्जიკა 1 ოქტომბერი	იაპონია 8 ოქტომბერი	ბრაზილია 22 ოქტომბერი	ჯამი
1	ალონსო, რენო, ესპანეთი	10	8	10	8	8	10	10	10	10	4									88
2	მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია	■ 8	3	–	■ 10	10	8	4	8	8	■ 10									69
3	ფიზიკელა, რენო, იტალია	–	■ 10	4	1	3	6	3	5	5	6									43
4	რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი	6	–	8	4	5	4	–	6	6	–									39
5	მასა, ფერარი, ბრაზილია	–	4	–	5	6	5	–	4	4	8									36
6	მონტოია, მაკლარენი, კოლუმბია	4	5	–	6	–	–	8	3	–	–									26
7	ბატონი, ჰონდა, დ. ბრიტანეთი	5	6	■ –	2	–	3	–	–	–	–									16
8	ბარიკელო, ჰონდა, ბრაზილია	–	–	2	–	4	2	5	–	–	3									16
9	ჰაიდფელდი, BMW ზაუბერი, გერმანია	–	–	5	–	–	1	2	2	2	–									12
10	რ. შუმახერი, ტოიოტა, გერმანია	–	1	6	–	–	–	1	–	–	–									8

კულპარდი, ტრული — 8, ვილნევი — 7, ვებერი — 6; როსბერგი — 4, კლიენი, ლიუცი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

კონსტრუქტორთა თასი: *რენო 131; ფერარი 105; მაკლარენი 65; ჰონდა 32; BMW ზაუბერი 19; ტოიოტა 16, რედ ბული 14, უილიამსი 10, ტორო როსო 1*

რბოლის შედეგები

აშშ-ის დიდი პრიზი
2 ივლისი. ინდიანაპოლისი

დისტანცია 73 წრე — 306,016 კმ

1.	(1)	მ.შუმახერი (ფერარი)	1:34.35,2 (194,1 კმ/სთ)
2.	(2)	მასა (ფერარი)	ჩამორჩა 8,0
3.	(3)	ფიზიკელა (რენო)	16,6
4.	(20)	ტრული (ტოიოტა)	23,6
5.	(5)	ალონსო (რენო)	28,4
6.	(4)	ბარიკელო (ჰონდა)	36,5
7.	(17)	კულპარდი (რედ ბული)	1 წრით
8.	(21)	ლიუცი (ტორო როსო)	1 წრით
9	(19)	როსბერგი (უილიამსი)	1 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(8)	რ.შუმახერი (ტოიოტა)	გაიარა 65 წრე
(14)	ალბერსი (MF 1)	38
(6)	ვილნევი (BMW-ზაუბერი)	24
(15)	მონტეიერო (MF 1)	10
(18)	სატო (სუპერ აგური)	7
(7)	ბატონი (ჰონდა)	4
(9)	რაიკონენი (მაკლარენი)	1
(10)	ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი)	1
(11)	მონტოია (მაკლარენი)	1
(12)	ვებერი (უილიამსი)	1
(13)	სპიდი (ტორო როსო)	1
(16)	კლიენი (რედ ბული)	1
(22)	მონტანი (სუპერ აგური)	1

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული

მ. შუმახერი — 1:10,832 (213,1 კმ/სთ)

უსწრაფესი წრე

მ. შუმახერი — 1:12,719 (207,5 კმ/სთ)

AFP

AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

ყველაზე მწარე სიტყვები GO HOME!

შაბათის მეოთხედფინალებმა ორი ძველი მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი გაისტუმრა შინ. რა ბიჭებმა აიკრეს გუდა-ნაბადი?! რა მწარე სანახავია ეს ხალხი ჩანთებით და არა ბუცებით! მეტადრე კი მათი ქომაგებისთვის. მათთან ერთად დატოვებენ გერმანიას ქომაგთა ათეულობით ათასიანი არმიები — არგენტინელები და ინგლისელები.

მარადონა მხოლოდ არგენტინის არაა, ის მთელი მსოფლიოსია, მაგრამ თავად მარადონას აღარ სურს უარგენტინო მსოფლიოს ჩემპიონატი. ისიც მიდის...

მიდიან მისიანები — ტევესი, და სხვისიანები ანუ ინგლისელები — მუნდიალიდან წითლით გაგდებული უეინ რუნი და პენალტებით გაგდებული ტერი, ლამპარდი, ბექემი, კოულები... მიდიან ცოლ-შვილებთან ერთად. ზედა ფოტოზე ზურგით მდგარი სვენ გორან ერიკსონიც მიდის, ინგლისიდან ალბათ სამუდამოდ.

AFP

AFP

AFP

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge